საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება



ჯანდაცვა

№ 2

ივნისი 1924 წ.

ტფილისი

1924 წლის 1-ლ იანვრიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა გახსნა

საკუთარი სტამბა,

სადაც სწრაფად, ფაქიზად და ზომიერ ფასებში სრულდება ყოველგვარი სასტამბო საქმეები.

სტამბასთან გამართულია აგრეთვე წიგნთ-ასაკინძი სახელოსნო.

შეკვეთის მიღება შეიძლება ყოველ დღე სტამბაში—ლ. დუმბაძის ქ. № 3 (ყოფ. ველიამინოვისა). ტელეფ. № 16—47.

წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს

წითელი ჯვრის საზოგადოების სავაჭრო-სამრეწველო წარმოება

„ტეხნო-ქიმიკოსი“

ს აფთიაქო საქონლის წარმოება და ვაჭრობა.

მთავარი საწყობი და მმართველობა **ტფილისში,** პლეხანოვის პროსპ. № 106 (ყ. მიხეილოვის პროსპ.) ტელეფ. 13—63.

განყოფილება **ბათომში,** ტროცკის ქ. № 14, (ყ. მიხეილის ქ.

გაიხსნა და დაიწყო მოქმედება

წითელი ჯვრის ცენტრ. კომიტეტის

სავაჭრო კანტორამ

კანტორა აწარმოებს **ყოველგვარ** საკომერციო ოპერაციებს.

პუშკინის ქუჩა, № 21.

გაიხსნა

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

საპნის ქარხანა

ქარხანა ამზადებს საუკეთესო ღირსების ყოველგვარ საპონს.

კომუნალური ქ. № 60.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

12 416

ლტოლვილი

№ 2

ივნისი 1924

ტფილისი

ГОСУДАРСТВЕННАЯ АКАДЕМИЯ НАУК
Акад. Н. Марра
Академия наук ГССР
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили

მთავარლიტი № 1541 ტირაჟი 1000 1924 წ.

საქ. წითელი ჯვრის საზ. სტამბა, ლ. დუმბაძის ქუჩა, № 3.



ვლ. ილიას ძე ლენინი.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

(1870—1924).

ჩვენი ბიულეტენის ეს მეორე ნომერი გამოდის იმ მძიმე შთაბეჭდილების ქვეშ, რომელიც განიცადა საზოგადოდ მთელი მსოფლიოს და კერძოდ საქართველოს მშრომელმა მასამ **ვლადიმერ ილიას ძის** დაკარგვის გამო.

უკანასკნელი დიდი იმპერიალისტური ომის შემდეგ იწყება ახალი ხანა კაცობრიობის ცხოვრებაში,— ეს ხანა ხასიათდება მით, რომ მსოფლიოს მშრომელი მასსები თანდათან ერკვევიან, იგნებენ მიზეზებს თავის დაბეჩავებულ მდგომარეობის, თანდათან თავისუფლდებიან გაბატონებულ კლასების იდეოლოგიის გავლენისაგან და რწმუნდებიან, რომ პირველი და უმთავრესი საფეხური მათი სავსებით ყოველგვარ მონობისაგან განთავისუფლებისა, არის ხელისუფლების დაპყრობა. ამ ახალ განმათავისუფლებელ მოძრაობას ყველგან პროლეტარიატი უდგას სათავეში და მედგრად აწარმოებს ბრძოლას გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ; აი, ამ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ამხ. ლენინი მთელი ოცდა ხუთი წლის განმავლობაში რუსეთის და მთელი ქვეყნის პროლეტარიატს. წინასწარმეტყველი მშრომელ მასების საბოლოო გამარჯვებისა, მოცილული მშრომელთა ყოველგვარ მონობისაგან განთავისუფლებისა, ამხ. ლენინი შეიქნა დიდი მასწავლებელი პროლეტარიატისა ბრძოლის მეთოდების აღმოჩენაში და ამ მეთოდების საქმედ ქცევა-

ში. ნათქვამია, რომ პროლეტარიატის იდეოლოგიის შემოქმედმა, დიდმა მასწავლებელმა კ. მარქსმა პროლეტარიატი აღმოაჩინაო. ეს თქმულება იმ აზრით უნდა გავიგოთ, რომ მარქსმა გამოიკვლია კაპიტალიზმის განვითარების კანონები და დაამტკიცა, რომ კაპიტალისტური წესწყობილების სოციალისტურ წესწყობილებად გარდაქმნა ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს, ამ გარდაქმნის საქმეში კ. მარქსმა აქტუალური როლი მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატს აკუთვნა.

ვლადიმერ ილიასძემ დიდი მასწავლებლის ამ გენიალურ აღმოჩენას სისხლი და ხორცი შეასხა, თეორეტიული დებულებანი ცხოვრების სინამდვილედ აქცია და მეოცე საუკუნის მიერ წარმოშობილ პირობების მიხედვით გააღრმავა და შეავსო ეს აღმოჩენა. მისი მეთაურობით პირველად ისტორიაში შეიქმნა პირველი პროლეტარული სახელმწიფო, რომელიც შეუდგა კაპიტალისტურ წესწყობილების სოციალისტურ წყობილებად გარდაქმნის საქმეს; მან პირველმა აღმოაჩინა პროლეტარული სახელმწიფოს ორგანიზაციული ფორმა—საბჭოთა რესპუბლიკა და სინამდვილედ აქცია გასულ საუკუნის 75 წელში მარქსის მიერ გამოთქმული მოსაზრება—რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმის გარდამავალ ხანაში პროლეტარული სახელმწიფო მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას უნდა ეყრდნობოდეს. ოქტომბრის რევოლიუციამ, რომლის სულის ჩამდგმელი ამხ. ლენინი იყო, პრაქტიკულად გადასჭრა პროლეტარიატის დიქტატურის, საკითხი რომელიც უარჰყო მეორე ინტერნაციონალმა და ამით გასცა როგორც რევოლიუციონური მარქსიზმის ძირითადი დებულებანი, ისე მუშათა განთავისუფლების საქმე.

მთელი თავისი რევოლიუციონურ მოღვაწეობის დროს ის დიდ ყურადღებას აქცევდა პროლეტარიატის მოკავშირეთ რევოლიუციის დროს და ერთ უმთავრეს მოკავშირედ გაღარიბებულ გლეხობას სთვლიდა; თუ მეორე ინტერნაციონალის მეთაურები გლეხობას რევოლიუციაში ან უარყოფითი როლს აკუთვნებდენ, ან და უკეთეს შემთხვევაში არავითარ მნიშვნე-

ლობას არ აძლევდენ, ამბ. ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციაში პროლეტარიატის ერთად-ერთ მოკავშირედ მშრომელ გლეხობას სთვლიდა. ჩაუდგა რა სათავეში პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს, მან აზრის გენიალური აღმაჭრენით აღმოაჩინა, რომ გაღარიბებული გლეხობა ერთგული მოკავშირეა პროლეტარიატისა არა მარტო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, არამედ სოციალისტური აღმშენებლობის დროს; ეს მოსაზრება, აწ უკვე სინამდვილედ ქცეული რუსეთის ცხოვრებაში, რომლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გლეხკაცობისაგან შესდგება, ჭეშმარიტებად იქცევა დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში, ამ სამრეწველო პროლეტარიატის ქვეყნებში, სოციალისტურ რევოლიუციის განსაზღვრულ ეტაპზედ.

მშრომელთა განთავისუფლების საქმეში ნაციონალურ საკითხის სწორ გადაჭრას ერთი უმთავრესი მნიშვნელობა აქვს; თუ მეორე ინტერნაციონალი ამ საკითხზედ დრო გამოშვებით, სხვათაშორის ლაპარაკობდა, თუ მისი შეხედულება ამ საკითხის შესახებ ბურჟუაზიისათვისაც ხშირად მისაღები იყო, ამბ. ლენინი ამ საკითხს სულ სხვანაირად მიუდგა და მან პირველმა ჯერ თავის ნაწერებში თეორეტიულად და შემდეგ პრაქტიკაში რადიკალურად გადასჭრა იგი. დიდი მასწავლებლის კ. მარქსის ზოგადი დებულება არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის ერი, რომელიც სხვა ერს იმონებსო — ამბ. ლენინმა ჩამოაყალიბა კონკრეტიულ დებულებებში ერთა თვითგამორკვევის სახით. როგორც უაღრესი ინტერნაციონალისტი, ვლადიმერ ილიასძე თავის მიზნად მთელი მსოფლიოს ერთა სოლიდარობას, ძმურ კავშირს და ერთიანობას ი'ახავდა; მაგრამ ასეთი კავშირი მას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ნებაყოფლობითი კავშირი და შეურიგებელი მტერი იყო იძულებითი დაკავშირებისა. მკაცრი და შეურიგებელი ბრძოლა ყოველგვარ თვითმპყრობელურ ტენდენციების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს შეუწყვეტელი პროპაგანდა ერთა კავშირის საჭიროების და სარგებლიანობისა — აი ის ღრმა შინაარსიანი ფორმულა,

რომელიც გვიანდერძა ამხ. ლენინმა ნაციონალური საკითხის გადასაჭრელად. მან ეროვნული საკითხის გადაჭრა მჭიდროდ დაუკავშირა ახალშენების იმპერიალიზმის ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეს, ამით ზურგი გაუმაგრა პროლეტარულ რევოლიუციას ევროპაში და გახდა მეთაური განმათავისუფლებელი მოძრაობისა აღმოსავლეთში.

ამხ. ლენინი არ იყო მარტო რუსი რევოლიუციონერი, ის იყო მსოფლიოს რევოლიუციონერი; იგი იტანჯებოდა მსოფლიო პროლეტარიატის ტანჯვით და ნეტარებას ეძლეოდა ამ პროლეტარიატის გამარჯვებით და მისი წინსვლით. მას შემდეგ, რაც მეორე ინტერნაციონალი გაკოტრდა და მუშათა განთავისუფლების მოღალატედ იქცა, ვლადიმერ ილიასძე გამუდმებით ჰფიქრობდა და იღვწოდა ახალი ინტერნაციონალის შექმნის შესახებ, ისეთი ინტერნაციონალისა, რომელიც განუსაზღვრელ თავგამოდებას გამოიჩენდა მუშათა განთავისუფლების საქმეში და მტკიცე ნაბიჯით წარუძღვებოდა წინ პროლეტარიატს, როგორც ბრძოლის სამზადისის, ისე თვით ბრძოლის დროს; მან შესძლო განეხორციელებინა დიდი საქმე მებრძოლ პროლეტარიატის ხელმძღვანელ ორგანოს შექმნისა, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსების სახით; დღიდან თავისი დაარსებისა, მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი შეიქნა მთავარი შტაბი მსოფლიოს მებრძოლ, რევოლიუციონურ პროლეტარიატისა; ამ მთავარ შტაბს თავის სიცოცხლეში ამხ. ლენინი თვით უწევდა ხელმძღვანელობას, ხოლო თავისი სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობის სახით გადასცა მას მთელი თავისი ნამოქმედარი პროლეტარიატის ბრძოლის ხელმძღვანელობის საქმეში, უანდერძა მას ამ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა; მესამე კომუნისტურმა ინტერნაციონალმა აწ თვით უნდა განაგრძოს ლენინის საქმე მსოფლიო მასშტაბით.

თავის მოგონებაში ამხ. ლენინის შესახებ მ. გორკი მოგვითხრობს, რომ კუნძულ კაპრიზედ მუშებმა პლეხანოვზედ და ლენინზედ მსჯელობის დროს პლეხანოვს მასწავლებელი უწოდეს, ხოლო ვლადიმერ ილიასძეს—ჩვენი ლენინი. ამით

მუშებმა სთქვეს, რომ ვლადიმერ ილიასძე არა მარტო მათი მასწავლებელია, არამედ მათი ამხანაგი, მათი მეგობარი, მათი მესაიდუმლე. რუსეთში მშრომელნი ლენინს „ილიიჩს“ ეძახიან და ამით გამოსთქვამენ იმავე აზრს, რაიც სთქვეს მუშებმა კუნძულ კაპრიზედ. თავის სისხლად და ხორცად სთვლიდა რუსეთის მშრომელი მასსა ვლადიმერ ილიასძეს და ამავე დროს მთელი კაცობრიობის დიდი უმრავლესობა, მისი ჩაგრული ნაწილი თავის მოამაგედ, თავისიანათ სთვლიდა ამ ახალი ქვეყნიერების მოციქულს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ლენინის სიკვდილმა მწვავე გამოძახილი ჰპოვა მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა გულში. მით უფრო საგრძნობია მშრომელთათვის ლენინის დაკარგვა დღეს, როდესაც მზადდება გადამწყვეტი ბრძოლა მშრომელთა მასსების საბოლოო განთავისუფლებისათვის. თვით ვლადიმერ ილიასძე ამ ბრძოლას აწ ვეღარ უხელმძღვანელებს, სამაგიეროდ თვით მშრომელი მასსები იხელმძღვანელებენ ლენინიზმს, რომელიც წარმოადგენს რევოლიუციონურ მარქსიზმის რევოლიუციონურ პრაქტიკასთან შეთავსებას, და რომელიც გაიყვანს ჩაგრულთ და მაშვრალთ იმ სანაპიროზედ, სადაც ადგილი არ ექნება არავითარ დაჩაგვრას.

საქართველოს წითელი ჯვრის ყრილობა და მისი მოკრივე ამოცანები.

1923 წ. იანვარის 14-ს, მოხდა პირველი ყრილობა საქართველოს წითელი ჯვრისა; მან განიხილა საქმიანობა მენშევიკების დროს დაარსებულ წითელი ჯვრის საზოგადოებისა, გამოაშკარავა სრული უმოქმედობა ამ საზოგადოებისა, მოახდინა სრული მისი გადახალისება და აირჩია ახალი შემადგენლობა ხელმძღვანელი ორგანოსი, რომელსაც დაავალა საზოგადოების გაცოცხლება და ფართო მშრომელ მასებთან მჭიდროდ დაკავშირება; ჟენევის კონვენციის საფუძველზედ მოქმედ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ცხოვრებამ დაუყენა გადასაჭრელად მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც წარმოშვა ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მუშათ-გლეხურ ხელისუფლების დროს. საჭირო შეიქნა, რომ საზოგადოების შემადგენლობა საგანგებით გადახალისებულიყო და იგი შექმნილ-იყო ნამდვილად მუშათ-გლეხური; საჭირო იყო, რომ თავის საქმიანობაში. საზოგადოებას ნათელ ეყო, რომ მას აქვს უნარი დააკმაყოფილოს თავის მოქმედობის სფეროში მშრომელი მასსების აუცილებელი მოთხოვნილებანი

საჭირო იყო, რომ საზოგადოების შემადგენლობაში წევრებად შესულიყო არა მარტო ტფილისის მოსახლეობა, არამედ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიის მთელი მოსახლეობა და აგრეთვე ავტონომიურ და ხელშეკრულების საფუძველზედ არსებული დამოუკიდებელი რესპუბლიკის მცხოვრებნი, რომ ამ ნაირად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება შექმნილიყო სინამდვილეში, ფაქ-

ტორად სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებად საჭირო იყო, რომ შექმნილიყო მჭიდრო კავშირი საბჭოთა სოციალისტურ საკავშირო რესპუბლიკათა ტერიტორიაზედ მომქმედ ეროვნულ წითელ ჯვართა და წითელ ნახევარმთვარეთა, რათა ამ კავშირით ძლიერ და ავტორიტეტი შეეძინა თითოეულ ეროვნულ წითელი ჯვრის ორგანიზაციას; და ბოლოს საჭირო იყო განსაზღვრული ურთიერთობის დაყარება საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტთან, რომელთანაც შეთანხმებით უნდა იმოქმედოს წითელმა ჯვარმა და რომელსაც, როგორც ნივთიერულად მძლავრ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, შეუძლია საგრძნობი ნივთიერული დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს წითელ ჯვარს თავის მოვალეობილებათა დაკმაყოფილების დროს.

ასეთი იყო მოკლედ ის ამოცანები, რომელიც დაისახა შესასრულებლად გასული წლის საზოგადო კრილობამ.

ამ თვალსაზრისით გასული წლის კრილობა უნდა ჩაითვალოს დამფუძნებელ კრილობად, ანუ ესთქვათ, საორგანიზაციო კრილობად, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ქ. ტფილისის მშრომელმა მასამ.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს საქართველოს წითელი ჯვრის მეორე კრილობა; იგი გამომხატველია თითქმის მთელი საქართველოს, ხელშეკრულების საფუძველზედ არსებულ დამოუკიდებელ აფხაზეთის და ავტონომიურ აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკების მოსახლეობის ნებისყოფისა ეს კრილობა არის ნამდვილად სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების კრილობა და მის საქმიანობას ისტორიული მნიშვნელობა ექნება მთელი მომდევნო მოღვაწეობისათვის.

რა ამოცანები სდგას ამ კრილობის წინაშე გადასაჭრელად?

გადახალისებულ წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ საორგანიზაციო მუშაობა თითქმის დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. კრილობამ უნდა საბოლოოდ გაითვალისწინოს ეს დამთავრებული საორგანიზაციო მუშაობა და თავისი ავტორიტეტული აზრი გამოთქვას ამ მუშაობის შესახებ, როგორც სა-

თანადო შესწორებების შეტანით, აგრეთვე თავისი დასტურის მიცემით. ამ საორგანიზაციო მუშაობაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს გეგმა წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობისა ომიანობის და მშვიდობიანობის დროს. ომიანობის დროს წითელი ჯვრის საზოგადოების მოვალეობას შეადგენს საექიმო დახმარების გაწევა ბრძოლის ველზედ დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართათის, ზურგში საავადმყოფოების დაარსებით; მართალია — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაარსების შემდეგ ომის საშიშროებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც მუშურ-გლეხური ხელისუფლება თავის ბუნებით შეტევითი ომის წარმოებას არასოდეს არ იკისრებს, მაგრამ მოგერებითი ომი მოსალოდნელია; მთელი საბჭოთა კავშირი და მასში საბჭოთა საქართველოც მოწვდეულია კაპიტალისტურ ქვეყნების რკალში, რომელთაც საომარი ენა, დროებით, მორიგების ენით შესცვალეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმათ საბოლოოდ უარჰყვეს აზრი საბჭოთა რესპუბლიკებზე თავდასხმისა.

ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ უკეთუ მათ დაუდგათ მათის აზრით მოხერხებული დრო, ისინი დაუყოვნებლივ გაილაშქრებენ საბჭოთა კავშირზედ. აი, ასეთ დროის მოლოდინში ჩვენ უნდა ყოველთვის მზად ვიყვეთ და ასეთ დროისათვის სამზადისი და მზად ყოფნა სავალდებულოა წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის. ამ საკითხის შესახებ აღმასრულებელ ორგანოს მიერ წარმოდგენილი მოსაზრება სერთო კრილობამ გულდასმით უნდა განიხილოს და მჭიდრო გადაწყვეტილება მიიღოს, რომ ცენტრალური ორგანო და მისი განყოფილებების კომიტეტები ენერგიულად შეუდგენ ამ მათი მოვალეობის აღსრულებას.

მშვიდობიანობის დროს წითელი ჯვრის მოვალეობას შეადგენს, დახმარება აღმოუჩინოს სტიქიონურ უბედურების მსხვერპლად გამხდარ მოსახლეობას, ომიანობის დროს დაჭრილ-დასახიჩრებულთ და აწარმოოს ბრძოლა სოციალურ (მალარია, ჭლექი, ვენერიული სენი) და მოარულ ავათმყოფობათა

წინააღმდეგ. ამ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს დროში აქტუალურ ხასიათს ღებულობს.

თუ სტიქიონურ უბედურებათა მსხვერპლთათვის და ომის ინვალიდთა დახმარებისათვის საჭიროა ხშირად განსაკუთრებული თანხის დაგროვება, და დრო გამოშვებით ამ თანხის სამართლიანად და მიზანშეწონილად დანაწილება, სოციალურ და მოარულ სენთა წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს, გარეშე ნივთიერულ საშუალებისა, შეუწყვეტელ და დაუღალავ შრომას ამ ბრძოლის ორგანიზაციისათვის; გარდა ამისა ამ სფეროში საქმიანობა დღეანდელ მომენტში ჩვენში დაკვრითი ხასიათს ღებულობს და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ერთი უმთავრესი ყურადღება აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული.

ერთი დიდი მნიშვნელობა საბჭოთა მედიცინისა იმით გამოიხატება, რომ მთლიანმა საბჭოთა მედიცინამ სიმძიმის ცენტრო სამკურნალო მედიცინიდან გამაფრთხილებელ მედიცინაში გადაიტანა. მან უმთავრესი ყურადღება მიაქცია სენის გამომწვევ მიზეზების წინააღმდეგ წინასწარ ბრძოლას და ეს ჩასთვალა ერთ საუკეთესო საშუალებათ მოსახლეობის გაჯანსაღების საქმეში. უკვე ყველასათვის ცნობილია, რომ ძველი წყობილების დროს ხალხის გაჯანსაღებისათვის დახარჯულ ყოველ თითოეულ მანეთიდან სამკურნალო მედიცინისათვის იხარჯებოდა 95 კ., ხოლო პროფილაქტიურ მედიცინისათვის კი დანარჩენი ერთი შაური. ეს სრულიად მიზანშეუწონლიე განაწილება შრომისა, ყურადღებისა და ხარჯისა ხალხის გაჯანსაღების საქმეში საბჭოთა მედიცინამ ძირიან-ფესვიანად შესცვალა და სწორი გზა გამონახა. უმთავრესი ყურადღება პროფილაქტიურ მედიცინას — ეი სწორი გზა ხალხის გაჯანსაღების საქმეში. ასეთია დღევანდელი მტკიცე შეხედულება საბჭოთა მედიცინისა. წითელი ჯვარის საზოგადოებამაც ეს შეხედულება სავსებით განიზიარა და თავისი საექიმო-სასანიტარო მოქმედების სფეროში მედიცინის ამ დარგს მიაქცია ყურადღება; ეგრედწოდებული სოციალური და მოარული სენები შედეგია

ცხოვრებაში ერთგვარ პირობების არსებობისა, და უკეთუ ეს პირობები არ მოისპო, ამ სენების მძვინვარებას ბოლო არ მოეღება, ამისათვის უპირველეს ყოვლისა წითელი ჯვრის საზოგადოება უნდა აწარმოებდეს ამ სენების გამომწვევ პირობებთან ბრძოლას მრავალ-გვარია ის მავნე პირობები, რომელნიც იწვევენ აღნიშნულ სოციალურ ავათმყოფობათ; სასურველია, მაგრამ შეუძლებელი საერთო და ერთდროული იერიშების მიტანა ყველა ამ პირობებზედ; ამისათვის გეგმაშეწონილი მუშაობა მოითხოვს თანდათანობით განხორციელებას იმ ბრძოლისას, რომელიც დღევანდელ მომენტში აუცილებელი და სასწრაფოა; ასეთ სასწრაფო საქმედ წითელი ჯვრის აღმასრულებელ ორგანოს დღეს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა მიაჩნია და უმთავრესი მისი ყურადღება აქეთკენ არის მიქცეული. ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სოციალურ სენების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში აქტუალურ ხასიათს ღებულობს მეორე; ჩვენ მხედველობაში გვქონდა უმთავრესად გეგმაშეწონილი ბრძოლის წარმოება მალარიის წინააღმდეგ. ჩვენი „ბიულეტენის“ ამავე ნომერში მოთავსებულ, ექიმ ოქროპირიძის წერილიდან მკითხველი დაინახავს, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს მთელი საქართველოს მოსახლეობისათვის ამ სენის მძვინვარება ჩვენში; მთელი მოსახლეობის 33%-ის ამ სენით დაავადება იწვევს ხალხის ეკონომიურად დაქვეითებას, მის ფიზიკურად გადაგვარებას და შემდეგ სრულიად გადაშენებას. ეს სურათი ნათელჰყოფს, თუ რა სასწრაფო ღონისძიებათა მიღებაა საჭირო ამ სენთა წინააღმდეგ საბრძოლველად; მუშურ-გლეხური ხელისუფლება თავის სათანადო ორგანოს, ჯანსახკომის კომისარიატის საშუალებით აწარმოებს ბრძოლას მალარიის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბრძოლას ისეთი სერიოზული ხასიათი აქვს, იგი იმდენად რთულია, რომ საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა დაუხმარებლად ეს ბრძოლა სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს. ამისათვის წითელი ჯვრის საზოგადოებამ უალრესად უნდა გააფართოვოს თავისი მოქმედება ამ სფეროში და ხელისუფლების ორგანოსთან შეთანხმებული მუშაობით ხა-

ლხის ჯანმრთელობის ამ გამანადგურებელ სენს მედგრად შეებრძოლოს.

საექიმო-სასანიტარო აღწერნებლობაში საქართველოს წითელმა ჯვარმა მკურნალობითი მედიცინასაც უნდა მიაქციოს ყურადღება და სამკურნალო დახმარება აღმოუჩინოს მცხოვრებთ; ცარიზმი ნაკლებად აქცევდა ყურადღებას ხალხის ჯანმრთელობის საქმეს საზოგადოდ და განსაკუთრებით საქართველოში, რომელიც ამ მხრით უმწეო მდგომარეობაში იყო: აქა იქ თითო-ოროლა სამკურნალო მოხელედ ქცეულ ექიმების მეთაურობით სრულებით ვერ აკმაყოფილებდენ ხალხის საჭიროებას მკურნალობის საქმეში და დიდი უმრავლესობა მშრომელი ხალხისა საექიმო დახმარებას მოკლებული იყო; მხოლოდ მცირედი ნაწილი მოსახლეობისა, ეკონომიურად მძლავრი და უფლება-უპირატესობით აღჭურვილი სარგებლობდა საექიმო დახმარებას კერძო ექიმებთან და კერძო საავადმყოფოებში. საექიმო დახმარების არ არსებობის ნიადაგზედ მძლავრად აღმოცენდა მკითხაობა, არა მეცნიერული მეთოდები მკურნალობისა, რომელიც სრგებლობის მაგიერ დიდ ზიანს აყენებდა უმეცრებით გარემოცულ ხალხს.

უმაღლითო მსოფლიო ომმა, გაანადგურა რა საწარმოო ძალები, დიდად გააუარესა ხალხის ეკონომიური მდგომარეობა და ამით სამკურნალო საქმე მთლად გაანადგურა; მენშევიკების ხელისუფლებამ, როგორც სხვა დარგში, აქაც ვერ შესძლო მდგომარეობის გაუმჯობესება და გადასცა საბჭოთა ხელისუფლებას ფრიად მძიმე მემკვიდრეობა. მრავალი კუთხე ჩვენი ქვეყნისა სრულიად მოკლებული იყო და ახლაც არის მოკლებული საექიმო დახმარებას . ხელისუფლება მარტო ვერ შესძლებს სამკურნალო საქმის შესაფერ ნიადაგზე დაყენებას და აქაც წითელი ჯვარი, როგორც საბჭოთა—საზოგადოებრივობის ორგანიზაცია, გვერდში უნდა ამოუდგეს ხელისუფლების სათანადო ორგანოს და შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს მას.

ანგვარად, საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოება უნდა გახდეს ხელისუფლების მძლავრ დამხმარე საზოგადოე-

ბრივ ორგანოდ, როგორც ომიანობის ისე მშვიდობიანობის დროს.

წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი ამ საკითხების შესახებ დასაბუთებულ მოსაზრებებს წარუდგენს საზოგადო ყრილობას და ყრილობამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი ამის შესახებ.

ამ კითხვების განხილვის დროს საზოგადო ყრილობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს ნივთიერულ საშუალების გამოძებნას, უსრომლისოდაც შეუძლებელია ზემო ჩამოთვლილ ამოცანების შესრულება. ყრილობას უნდა ახსოვდეს, რომ საქართველოს წითელი ჯვარი თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია არის და თავის საქმიანობაში იგი საკუთარ ძალებს უნდა ეყრდნობოდეს; ადგილობრივმა განყოფილებებმა უნდა გამოიჩინონ ის შრომის უნარი და ენერგია, რომელიც ნიშნობლივ თვისებას შეადგენს მშრომელ მასების ყველა ორგანიზაციისას; თავის მოქმედების ფარგლებში თვით უნდა ეცადონ განახორციელონ დასახული მიზნები და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, მიმართონ ცენტრს დახმარებისათვის. ეს გარემოება ხაზგასმით უნდა აღნიშნოს საზოგადო ყრილობამ და გამოიტანოს მტკიცე დადგენილება წითელი ჯვრის ნივთიერულ სახსართა გაძლიერების შესახებ წევრთა თვითმოქმედების და ენერგიული საქმიანობის საშუალებით.

თავის დინჯი სერიოზული საქმიანობით, თავის დასაბუთებული და მიზანშეწონილი დადგენილებით საერთო ყრილობამ უნდა დაანახოს საქართველოს მშრომელთა მასსებს, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საქმე არის სახალხო საქმე და მისი მტკიცე ნიადაგზე დაყენება ნიშნავს ამავე დროს საბჭოთა რესპუბლიკის გამაგრებას დ მისი ხელისუფლების გამტკიცებას.

ვისურვოთ, რომ სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საერთო ყრილობამ შესძლოს ამ თავის მოვალეობის პირნათლად შესრულება და თავის საქმიანობით მტკიცე და შეურყეველი საფუძველი ჩაუყაროს წითელი ჯვრის საზოგადოების არსებობას.

პ. კიკალიშვილი.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლება უაღრესად ხალხოსნურია, ეს ფართო მასების აქტივობის და შემოქმედების სარბიელია, კოლექტიური შრომა, ახალი ენერგიით სავსე მასების ამოძრავება, ეს ბუნებაა ხალხოსნური ხელისუფლების და სწორედ ამით აიხსნება პროლეტარული დიქტატურის უტყუარი ცხოველმყოფელობა და მისი თანდათან გაძლიერება და ავტორიტეტის მოპოება. პროლეტარიატმა, ამ ახალი მმართველობის ფორმაში, შესძლო მისწრდომოდა ცხოვრების ყოველივე დარგს და შეეტანა იქ სიცოცხლის სხივები; იმპერიალისტური ომით გაპარტახებული ცხოვრება, საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატმა და მშრომელმა ულეხობამ ახალ გზაზე გამოიყვანა და მაა კოლექტიური წარმოება საფუძვლად დაუდვა; ყველა ის მიღწევა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ მოიპოვა, სწორედ ამით აიხსნება. მუშათა კლასმა ამ შვიდი წლის განმავლობაში გააცოცხლა საწარმოო ძალები, განავითარა ეკონომიური ცხოვრება და მით მტკიცე ბალავარი ჩაუყარა პოლიტიკურ ბატონობას. იგი მისწვდა ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას და მათ მოდუნებულ ბუნებას სიცოცხლის სული შთაბერა. ერთი ასეთი ორგანიზაციათაგანია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.

წითელ ჯვარს საბჭოთა ხელისუფლებამდე ფართო მასები არ იცნობდნენ, იქ ძველად თავმოყრილი იყვნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისა“ ღენერლის ორდენებით და ხელმწიფის სახელით ყველა ჯურის მსახურნი; რასაკვირველია, ასეთი ორგანიზაცია სავსებით არ ისახავდა მიზნად ფართე მასების დახმარებას და პირდაპირი მიზნების განხორციელებას.

მენშევიკების დროს წითელ ჯვარს არ დაუკარგავს თავისი ძველი ტრადიციები და ქრისტიანული შარხელ-მარჯვენობა; ზაქარია ჩიჩუას მფარველობის გარდა არავითარ ახალს იქ თავი არ უჩენია,

მხეოველობაში თუ არ მიიღებთ იმ გარემოებას, რომ იქ უპატრონოდ ვაჭრობდენ საზოგადო ქონებით და უკონტროლოდ უნაწილებდენ მას ძმა ბიჭებს და მეგობრებს.

საბჭოთა ხელისუფლება, მართალია გვიან, მაგრამ, ბოლოს, მაინც მისწვდა ამ ორგანიზაციას და მოახდინა ძირითადი რეორგანიზაცია.


უპირველეს ყოვლისა მოხდა საზოგადოების წევრთა განახლება—წევრობის უფლება ენიჭება ყოველ მშრომელს, ვინც კი საბჭოთა სისტემას მხარს უჭერს; მაშასადამე, აშკარაა, რომ ეს ორგანიზაცია უაღრესად მუშურ-გლეხურია. მართლაც შარშან გადახალისების შემდეგ ამ საზოგადოებაში რიგებში მხოლოდ პროკავშირების წევრები მოხვედნ. ამ დღიდან სავსებით შეიცვალა წ. ჯ. საქმიანობა; მან მიზნათ დაისახა მასებთან მჭიდრო კავშირი და მართლაც ორგანიზაციათა ქსელით მოჰფინა საქართველოს სოფლები და მაზრები. საქმე ისაა, რომ წითელი ჯვარი არა ლოკავ-კურთხევით და ქრისტეს ხატით ჰკურნავს სოციალური ავადმყოფობით შეპყრობილ მოსახლეობას, არამედ რეალური დახმარებით უფასო წამლების მიწოდებით, ამბულატორიების, საავადმყოფოს გახსნით და საჭირო საექიმო პერსონალის მიწოდებით. წითელი ჯვრის ასეთი დახმარება და საქმიანობა შეითვისა საქართველოს მშრომელმა მასამ და დღეს ქიზიყის და ალაზნის ღარიბი გლეხობა, სვანეთის, რაჭის, ლეჩხუმის, ოსეთის და აფხაზეთის მშრომელი მასები ამ ორგანიზაციას სთვლიან ერთად-ერთ დაწესებულებად, რომელიც მოწოდებულია სხვა და სხვა სენით დაავადებულ მოსახლეობის უასყიდლოდ წაალობისათვის. საინტერესოა იმ მომართულების გაცნობა, რომელიც წ. ჯ. მოდის პროვინციებიდან—აი ერთი მათგანი აფხაზეთიდან: „ავადმყოფები 10—15 ვერსის ნაძიძიდან მოჰყავთ ცხენებით და ურმებით. ამბულატორიის გახსნის მეორე დღეს ავადმყოფთა რიცხვი დღიურად ასს აღემატებოდა და არაკეთილი პერსონალი ვერც კი აუდიოდა. ჩვენს იქ ჩასვლამდის ერთი ფხენილი ქინაქინა (0,3) იყიდებოდა ერთ ვეთ სიმინდად და ეხლა კი მუქთად აქვთ და ხალხი სიხარბით ეტანება მუქთ ეკიმობას“.

აი რას იტყობინებიან სვანეთიდან: „სვანეთის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი იტანჯება კანია, საყმაწვილოთი, ჟუჟის ჭიებით, თვალის და ყურის დაავადებით, და წითელი ჯვრის დახმარება დღეს იცის სვანეთის ყველა მიყრუებულ სოფლის მცხოვრებმა, ხალხი დიდის აღტაცებით ეგებება უფასო სამკურნალო დახმარებას და არ ირის თითქმის არც ერთი ოჯახი, რომ არ მიეღო ასეთი წ. ჯ. ექს-

პედიციის საშუალებით. მართლაც, წითელ ჯვარს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში 12 განყოფილება აქვს გახსნილი და ყველა ეს ორგანიზაცია უსასყიდლოდ სწამლობს ღარიბ მოსახლეობას. საქართველოს პროლეტარიატი გაეცნო წითელი ჯვრის მოღვაწეობას. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის საშუალებით და, დაინახა რა მისი მოქმედების დიდი მნიშვნელობა, მიზნად დაისახა ამ საზოგადოების გაძლიერება, რათა ამ გზით მოახდინოს მჭიდრო დაკავშირება ქალაქის პროლეტარიატისა სოფლის გლეხობასთან. ტფილისის მუშები მასიურად ეწერებიან წ. ჯ. საზოგადოებაში და მოითხოვენ ფართო სამკურნალო დახმარებას მოსახლეობისათვის. ის ცნობები, რომელსაც ჩვენ გვაწვდიან პროფორგანიზაციები, აშკარად მოწმობს ჩვენი საზოგადოების გაძლიერებას პროლეტარული ელემენტებით. მუშები არ შურავენ თავიანთ წვლილს, იხდიან საწევრო გადასახადს და მოითხოვენ გაჭირვებულ მშრომელ გლეხობის სამკურნალო დახმარებით უზრუნველყოფას

გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეიდან წითელი ჯვრის საზოგადოება ნამდვილად ალხოსწური ორგანიზაცია იქნება და ახალი ძალების დახმარებით ის შეძლებს თავის მუშაობის გაორკეცებას რითაც ხელს შეუწყობს პროლეტარული თაობის ჯანსაღ განვითარებას და მის ფიზიკურ და კულტურულ გაღონიერებას.

გ. ნუცუბიძე.



პირველს რიგში: 1) ბელორუსიის წ. ჯ. (თ-რე) ამხ. **ბორკუსევიჩი,** 2) რუსეთის წ. ჯ. თ-რე ამხ. **სოლოვიოვი,** 3) უკრაინის წ. ჯ. თ-რე ამხ. **უგაროვი.** მეორე რიგში: 1) სომხეთის წ. ჯ. თ-რე ამხ. **კამსარაკანი,** 2) საქართველოს წ. ჯ. თ-რე ამხ. **კიკალიშვილი,** 3) აზერბაიჯანის წ. მთავარის თ-რე ამხ. **ალიევი.**

საქ. წ. ჯ. საერთაშორისო მდგომარეობა.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობის მხრით გამოურკვეველია.

1923 წლის აგვისტოს 8 ცენტრალურმა კომიტეტმა აცნობა ჟენევის საერთაშორისო კომიტეტს, რომ იგი არ სცნობს თავის წარმომადგენლად მოქ. შავიშვილს, რომელიც საქართველოს გასაბჭოებამდე წარმომადგენელი იყო წითელი ჯვრის ძველი შემადგენლობის საზოგადოებისა. ამ გარემოებამ გასწყვიტა უკანასკნელი ძაფი, რომელიც საერთაშორისო კომიტეტს ოფიციალურად აკავშირებდა ძველი შემადგენლობის წითელ ჯვართან. ხოლო, რადგან ახალი შემადგენლობის წითელ ჯვარს დღემდე არ შეუსრულებია ის საერთაშორისო დებულებანი, რომელთა ფუძეზედაც ხდება ოფიციალური ცნობა ნაციონალურ წითელ ჯვართა საზოგადოებისა საერთაშორისო კომიტეტის მიერ, სახელდობრ, დღემდე არ უცნობებია ჟენევის კომიტეტისათვის, რომ. 1) მოხდა რეორგანიზაცია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა ახალ საფუძველზე და ახალის წესდებით და 2) არც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას მიუღია და უცვნია 1863 წ. ჟენევის კონფერენციის დადგენილებანი და 1906 წ. ჟენევისავე კონვენცია, ცხადია, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას არ შეუძლია ოფიციალური და ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საქმის ასეთ ვითარებას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს საქართველოს წითელი ჯვრისთვის თვისი მიზნების გაიხორციელების დროს.

მარტო ის გარემოება რომ გავითვალისწინოთ, თუ რა ოდნობის დახმარება შეუძლია გაგვიწიოს საერთაშორისო კომიტეტმა და, განსაკუთრებით კი, წითელი ჯვრის საზოგადოებათა ლიგამ, ფულით თუ მედიკამენტებით, ჩვენი საზოგადოება რომ ოფიციალურად ცნობილი იყოს და თავისი წარმომადგენელიც ჰყავდეს ევროპაში,—ეს გარემოება საკმაო იქნებოდა, რათა ღღევანდელს არა-

სასურველ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წითელი ჯვარი როდია ასეთს ანორმალურს ყოფაში. რუსეთის წითელი ჯვარი 1921 წ. 4 აპრილიდან საერთაშორისო მ X კონგრესის მიერ უკვე ოფიციალურად ცნობილია და კიდევაც სარგებლობს აქედან გამომდინარე ყოველგვარის უფლებითა და პრივილეგიით. უკრაინის წითელი ჯვარი, თუმცა ოფიციალურად ცნობილი არ არის, მაგრამ ფაქტიურად მისი მდგომარეობა დიდად არ განსხვავდება ოფიციალურად ცნობილ სხვა წითელ ჯვართა მდგომარეობისგან. მას ჰყავს თავისი წარმომადგენელი ჟენევაში, ლონდონში, ბერლინში, რომში და სხვა; თავისი მხრით, ჟენევის საერთაშორისო კომიტეტსაც ჰყავს დამოუკიდებელი წარმომადგენელები უკრაინის სხვა და სხვა პუნქტში, ხოლო მთავარი წარმომადგენლობა კი ხარკოვში, რომელიც დიდს დახმარებას უწევს წითელ ჯვარს მათთვის საერთო მიზნების განხორციელების საქმეში.

საქაროველოს წითელი ჯვრის საერთაშორისო პოზიციას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ დღემდე არ არის გამორკვეული ურთიერთობა საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯვრისა საზოგადოდ, და კერძოდ კი, რუსეთის წითელ ჯვარს შორის. გასული წლის მაისში მოსკოვში გაიმართა საბჭოთა რესპუბლიკების წითელ ჯვართა წარმომადგენლობის კრილობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დაემყარებია ძმური კავშირი, ერთის მხრით, თავიანთ შორის, მეორეს მხრით კი გამოერკვია ამ კავშირის სათანადო პოზიცია საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში. კრილობამ მიიღო დასახელებული მიზნის შეაფერისი დეკლარაცია „საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯვრების საზოგადოებათა კავშირისდა არსების“ შესახებ. ხოლო საამისო კონსტიტუცია და მმართველ ორგანოების არჩევის საკითხი დღემდე გადაუჭრელია.

ასეთია დღეს დღეობით ამ საკითხის ვითარება. დასამალავი არ არის, რომ ეს გამოურკვეველი მდგომარეობა განსაკუთრებით საგრძნობია მხოლოდ საბჭოთა მცირე რესპუბლიკების წითელი ჯვრებისთვის, რადგან როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, რ. ს. ფ. ს. რ. ის წითელ ჯვარი 1921 წლიდანვე ხორმალურ დამოკიდებულებაშია უცხოეთთან. ესევე ითქმის უკრაინის წითელი ჯვრის შესახებ. რუსეთის წითელი ჯვარი, მაგ. ოფიციალურად იღებდა მონაწილეობას 1923 წ. საერთაშორისო კონგრესზე ჟენევაში, მაშინ როცა დანარჩენი წითელი ჯვრები, საჭიროების ცაკის დადგენილებით, ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო, მოკლებულნი იყვნენ საამისო საშუალებას

თუმცა კი, როგორც მაგ. საქართველოს და უკრაინის წითელი ჯვარი, ოფიციალურად მიწვეულნი იყვნენ საერთაშორისო მე XI კონგრესზე.

ამჟამად, როცა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ხელისუფლება ოფიციალურად ცნობილია ევროპის უმთავრეს სახელმწიფოთა მიერ და მათი დიპლომატიური ურთიერთობა ნორმალურს კალაპოტში დგება, ცხდია, წით, ჯვრის ორგანიზაციათა დატოვება ასეთს გამოურკვეველს მდგომარეობაში არაასურველიც არის და საზიანოც.

ამიტომაც, საჭიროა დაუყოვნებლივი შეთანხმება საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯვრების საზოგადოებათა, რათა სათანადო დასასრული მიეცეს შარშან მოსკოვში გამართულ ყრილობის საქმიანობას.

საქართ. წითელი ჯვრის საზოგადოება მალარიის წინააღმდეგ.

ჩემს წინა წერილში აღნიშნული მქონდა, რომ საქართველოს მცხოვრებთა ერთი მესამედი, 33%, თითქმის 800.000 კაცი, მალიარიითაა დაავადებული. წარმოსადგენადაც კი ძნელია ყველა ის შედეგი, რაც ამ გვარს „ეროვნულ" უბედურებას მოსდევს. ხუმრობა კი არ არის სახელმწიფოს ერთი მესამედი ყოველ-წლიურად ლოგინად იწვეს! სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო რამოდენა ეკონომიურ ზიანსა ჰხედავს ისეთი ქვეყანა, რომელსაც მესამედი მუშა-ხელისა მუდმივად აკლდება: ეს მესამედი ეელარაფერსა ჰქმნის და მხოლოდ დანარჩენთა ნაშრომსა ჰხარჯავს. ეკონომიურად ასეთი ქვეყანა ვერასოდეს ამაღლდება: დაქვეითდება და ბოლოს სულაც გაღატაკდება. ასეთს მოვლენას ვერ მოითმენდა ვერც ერთი, ცოტად თუ ბევრად, შეგნებული კულტურული ერი და ეცდებოდა მის მოსპობას. საბედნიეროდ, არც ჩვენში დარჩა ეს მოვლენა უპასუხოდ.

ქართველმა ხალხმა დაიწყო მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა და 1921 წლის ეპიდემიაც გახდა ის სტიმული, რომელმაც მალიარიის საწინააღმდეგო ბრძოლა დღეს უკვე ფიზიკურ არსებობისთვის ბრძოლად გადააქცია. მალარიის საწინააღმდეგო ღაშქრობა თანდათან ფართოვდება და წინანდელ სპორადიულ, შემთხვევითის მაგივრად, ნელ-ნელა სისტემატიურ, მუდმივ ორგანიზაციულ ხასიათს ღებულობს აქამდე თუ ისეთი შთაბეჭდილება გვქონდა, გარეგნულად მაინც, რომ თითქოს ყველა დაწესებულება ცალკე, თავისთვის აწარმოებდა ამ ბრძოლას, დღეს უკვე შეიქმნა ამ ბრძოლის ერთი შემაერთებელი ცენტრი „მთავარ სამალარიო კომიტეტის" სახით, რომელიც აერთებს ყველა იმ ორგანიზაციას და დაწესებულებას, რომლებიც მალიარიის წინააღმდეგ მეცნიერულს თუ პრაქტიკულს ბრძოლას აწარმოებენ, ან ამ ბრძოლასთან რითიმე დაკავშირებულნი არიან. ამ კომიტეტში მზადდება ეხლა მთელიანი გეგმა ბრძოლისა, ამისთვის სახსრის გამოძებნა, მეცნიერული დასაბუთება, განაწილება მუშაო-

ბისა დაწესებულებათა შორის და სხვა. რაც მალარიის წინააღმდეგ ბრძოლას სისტემატიურად გეგმაძაძლევს. საკითხის ასე წარმართვა კი უკვე თავდებია იმისა, რომ ეს ბრძოლა ნაყოფიერი იქნება და ბოლოს უეჭველად გამარჯვებით დამთავრდება. მძიმე და დიდი ხნის მუშაობას, აუარებელ ხარჯს თხოულობს ჩვენგან ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, უმველებელ ქონებრივ სახსარს შთანთქავს. მაგრამ დასასრულ ერთი ათასად იქნება ყველაფერი ანაზღაურებული, როგორც ჯანმრთელობის მხრივ, ისე, მით უმეტეს, ქონებრივადაც და რომ მართლა ყველაფერი აგვანაზღაურდება ამის მაგალითს გვიჩვე-



აფხაზეთის წ. ჯვრის საზოგად.
თავ-რე **ამხ. ლაკობა.**

ნებს ყველა ის კულტურული ქვეყანა, სადაც თავიდანვე მოჰყოლიან სისტემატიურ, მიზანშეწონილ, შეუდრეკელ და ყოველ ხარჯს მოუარიდებელ ბრძოლას მალარიის წინააღმდეგ. არც ერთ თანხას და ენერგიას, რაც უნდა დიდი ყოფილიყოს იგი და რაც უნდა დიდ წარმოებაზე ყოფილიყოს დახარჯული, არ მოუტანია იმდენი სარგებელი რამდენიც მალიარიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის რაციონალურად დახარჯულ თანხას და ენერგიას მოუტანია. მხოლოდ, გამარჯვებისთვის აუცილებლად საჭიროა: **სისტემატიურობა, მიზანშე-**

წონილობა, გამძლეობა და ყოველნაირ ხარჯის მოურიდებლობა, მხოლოდ ამის ენერგიულად შემსრულებელი მიიღებს სარგებელს, სხვა ვერავინ.

ამ გვარს პირობებში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაც, იმის და მიხედვით, როგორც მას თავისი დანიშნულება აქვს წარმოდგენილი, ვერ დარჩებოდა გარეშე მაყურებლად და უკვე წელიწადზე მეტია, რაც აქტიურად ჩაება ამ ბრძოლაში. 1923 წლის ივლისიდან საზოგადოება ნელ-ნელა, თან და თანობით ხსნის საექიმო პუნქტებს მალიარიან ადგილებში, აფართოვებს ტფილისის ამბულატორიას სპეციალურად მალიარიანთათვის, ხსნის ამ ამბულატორიასთან მცირე ლაბორატორიას და დღეისთვის საქართველოს წითელ ჯვარს შემდეგი მალიარიის საწინააღმდეგო დაწესებულებანი აქვს: 1) მალიარიანთა ცენტრალური ამბულატორია ლაბორატორიით, 2) კახეთის საექიმო დიდი პუნქტი ალაზანს გაღმა, ორი ექიმით და მცირე ლაბორატორიით, სოფ. ბაისუბანში, ლაგოდეხის რაიონში მოქმედობს 1923 წ. სექტემბრიდან; 3) საექიმო პუნქტი სოფ. მანავში, გარე კახეთში, საგარეჯოს რაიონში, მოქმედობს 1923 წ. სექტემბრიდან. 4) საექიმო პუნქტი სოფ. ნატახტარში, დუშეთის მაზრა. მოქმედობს 1923 წ. ნოემბრიდან, 5) საექიმო პუნქტი სოფ. აბაშაში ქუთაისის მაზრა. მოქმედობს 1924 წ. თებერვლიდან, 6) საფერშლო პუნქტი ხინობიანში, თელავის მაზრა. მოქმედობს 1924 წ. იანვრიდან. ყველა ამ დაწესებულებაში ჯერ-ჯერობით სწარმოებს უმთავრესად მალიარიანთა მხოლოდ წამლობა და ადგილ-მდებარეობის შესწავლა, მალიარიის გავრცელების პირობა. რასაკვირველია, ყველაფერი, რასაც დღეს ჩვენი პუნქტები აწარმოებენ, არ წარმოადგენს მალიარიის წინააღმდეგ ნამდვილ ბრძოლას მალიარიის წინააღმდეგ ბრძოლა უპირველესად ყოვლისა ნიშნავს ადგილ-მდებარეობის გაჯანსაღებას, მალიარიის გავრცელებისთვის ხელსაყრელ პირობების მოსპობას. ეს შესაძლებელია ორნაირ საშუალებით: 1) მოვსპოთ ამ პარაზიტების ერთი ადამიანიდან მეორეზე გადამტანი კოლოები უმრავლეს შემთხვევაში, და საერთოდაც, ორთავე საშუალების გატარება პარალელურად, ერთდროულად უნდა ხდებოდეს. სამწუხაროდ, ჩვენი დაწესებულებანი ვერსად აწარმოებენ ამ გზით მუშაობასა. ამის მიზეზი ის არის, რომ საქ. წითელი ჯვრის საზოგადოება ჯერ-ჯერობით არ არის ისეთი ძლევამოსილი ორგანიზაცია, მატერიალურ რესურსების მიხედვით, რომ ამგვარი ბრძოლა აწარმოოს. ეს ბრძოლა აუარებელ თანხას თხოულობს და ეს თანხა კი, ჯერ-ჯერობით მაინც, ჩვენს საზოგადოებას არა აქვს. ამიტომ ჩვენი

ჟენევის გადასინჯული კონვენცია.

(წინადადებანი მე IX-ტე კონფერენციის მიერ არჩეულ სარედაქციო კომისიისა, 21 აგვისტოს მიღებული კონფერენციის მიერ 1 სხდომაზე.

ჟენევის კონვენცია, 1906 წლის, 6 ივლისისა, ბრძოლის ველზე მყოფს არმიებში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის შესამსუბუქებლად.

თავი I.

დაჭრილნი და ავადმყოფნი.

§ 1. სამხედროთა და სხვა პირთ, არმიებთან ოფიციალურად დაკავშირებულთ, რომელნიც დაჭრილნი ან ავადმყოფნი იქნებიან, უნდა მოეპყრას პატივითა და ზრუნვით, განურჩევლად ამათი ეროვნებისა, ის მეომარი მხარე, რომლის ხელშიც იგინი ჩავარდებიან.

ამასთანავე, მეომარი მხარე, რომელიც იძულებულია მოპირდაპირეს დაუთმოს თვისი დაჭრილნი და ავადმყოფნი, ამათთანვე დასტოვებს, რამდენადაც კი სამხედრო გარემოება საამისო საშუალებას მისცემს, თვისი პერსონალის და სანიტარული მასალის ნაწილს დაჭრილ-ავადმყოფთა მოვლის დასახმარებლად.

§ 2. მათთვის მზრუნველობის აღმოჩენის გათვალისწინების პირობით, წინა პარაგრაფში რომ არის ნაჩვენები, დაჭრილნი თუ ავადმყოფნი, ერთ-ერთ მეომარი მხარის ხელში ჩავარდნილნი, სამხედრო ტყვეებად ითვლებიან და კაცთა მოდგმის

უფლებათა ზოგადი კანონები, რომელიც ტყვებს ეხება, მათზედაც ვრცელდება.

თუმცა, მეომარ მხარეებს რჩება უფლება, თავიანთ დაჭრილ ან ავადმყოფ ტყვეთა შესახებ ურთიერთს შორის დაადგინონ გამონაკლისისა თუ შეღავათის ისეთი დებულებანი, როგორსაც სასარგებლოდ დაინახავენ; სახელდობრ, მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ:

რათა ბრძოლის შემდგომ ერთმანეთს გადასცენ საომარ ასპარეზზე დარჩენილი დაჭრილები;

დააბრუნონ თავიანთ სამშობლოში, გამომრთელებისა და მგზავრობის საშუალებათა აღმოჩენის შემდეგ, ის დაჭრილნი და ავადმყოფნი, რომელთა ტყვეებად დატოვება არა სურთ.

გადასცენ ერთ-ერთს ნეიტრალურ სახელმწიფოს, ამისი თანხმობით, მოპირდაპირის დაჭრილნი და ავადმყოფნი და დაავალონ რათა ნეიტრალურმა სახელმწიფომ ინტერნაცია უყოს მათ. (მოკვეთილია პარაგრაფის უკანასკნელი სიტყვები: „საომარი მოქმედების დასრულებამდე".)

§ 3. თითოეული ბრძოლის შემდგომ, ბრძოლის ველზე მდგომარე მეომარი მხარე მიიღებს ღონისძიებას დაჭრილთა მოსაძებნად და მათთვის მფარველობის გასაწევად ცარცვისა და ცუდი მოპყრობის წინააღმდეგ.

ბრძოლის ველზე მდგომარე მხარე იზრუნებს, რათა დახოცილთა დასაფლაებასა ან დაწვას წინ უძღოდეს მკვდართა გულდასმითი შემოწმება.

ყოველთვის, როცა კი სამხედრო გარემოებანი საამისო საშუალებას მისცემენ, შეთანხმდებიან ბრძოლის შეჩერებაზე, რათა შესაძლო გახდეს ამ ღონისძიებათა შესრულება.

§ 4. მეომარი მხარენი, რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში, **შეატყობინებენ ერთმანეთს** სახელ-გვარს დაჭრილთა და ავადმყოფთა, რომელნიც ხელში ჩავარდნიათ. ერთმანეთს აცნობებენ ხოლმე ინტერნაციას და გაცვლას, აგრეთვე ჰოსპიტლებში გადაცემას მათს ხელში მყოფ დაჭრილთა და ავადმყოფთა. შეატყობინებენ ხოლმე ერთი მეორეს, რაც შე-

საზოგადოების პუნქტები ჯერ-ჯერობით კმაყოფილდებიან მხოლოდ მალიარიანთა კურნვით და სცდილობენ ეს მკურნალობა, რამდენათაც კი შეიძლება საფუძვლიანი იყოს. ამასთანავე, პუნქტები აწარმოებენ დაკვირვებას, მალიარიის გავრცელებისა და ძლიერების შესახებ, ადგილ-მდებარეობის საექიმო—ტოპოგრაფიულ შესწავლას. და ნელ-ნელა იმუშავებენ მომავალ გასაჯანსაღებელ მუშაობის გეგმას, რათა, როგორც კი ამისი შეძლება ექნებათ, დაუყონებლივ დაიწყონ გამაჯანსაღებელი მუშაობაც. ამ ჯერ მუშაობით ჩვენ ვა-



აჭარისტანის წითელი მთვარის კომიტეტის თავ-რე ამხ. **თახსინ ხიმშიაშვილი.**

ღწევთ მხოლოდ იმას, რომ პუნქტის მოქმედების რაიონში მალარიისგან სიკვდილიანობა აღარა გვაქვს ან თუ არის ძლიერ უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს და მეორეც იმას, რომ ხალხი, მუშა ხალხი, ამ რაიონებში ფეხზე დგას და მუშაობა შეუძლიან. ესეც დიდი მინაღწევარია და მისი ნიშვნელობის დამცირება ცოდვა იქნებოდა. ზოგიერთი სოფლები მალარიისგან გაბეზრებული და განახევრებული აყრას და გადასახლებას აპირობდა (მაგ. გიორგიეთი, ალახანს გალმა). ჩვენი საექიმო დახმარების წყალობით ისინი კვლავ დარჩენ და უკვე იშვიათ შეჰყურებენ მოშავალს.

ჩვენი სოფლები პუნქტები ვერ ახერხებენ აგრეთვე საერთო პროფილაქტიურ ქინაქინიზაციას თავიანთ რაიონების მცხოვრებლებისას. ამის მიზეზი ერთის მხრით ის არის, რომ შედარებითი ნაკლებობაა ქინაქინისა, მეორეს მხრით კი, და ეს უმთავრესია, თვით მცხოვრებლების შეუგნებლობა და დაუდევრობაა. ხალხს ჯერ კიდევ არა აქვს ნათელი წარმოდგენა მალიარიის ნამდვილ ბუნებასა და ხასიათზე, არ იცის როგორ ვრცელდება ეს სნეულება და როგორ შეიძლება მისი გავრცელების წინააღმდეგ ვიმოქმედოთ. ამიტომ არც ესმის მნიშვნელობა ქინაქინით წინასწარ თავის დაცვისა. ამას ცოტა ალმაცერად და დაუდევრად ეკიდება. არა თუ პროფილაქტიური ქინაქინიზაცია ჯანმრთელობისა, თვით უკვე დაავადებულების სისტემატიური, საფუძვლიანი მკურნალობაც კი შეუძლებელი ხდება შეგნების ამ გვარ პირობებში. სანამ ფეხზე სდგას ჩვენი ხალხი, წამალზე არა ზრუნავს და არც ეკარება. ავად რომ გახდება, მაშინ მოძებნის ექიმს და წამალს, მაგრამ დადგება თუ არა ფეხზე, წამალს ისევ თაროზე შესდებს, და უცდის, სანამ კვლავ არ გააციებს. ამის მიზეზია, რომ პროვინციის პუნქტების ანგარიშებში განმეორებითი მალიარიანების სიარული შედარებით ძალიან მცირეა. ჩვენი ხალხი თხოულობს რომ წამალმა სნეულება ორი-სამი დალევით მოუსპოს. მალიარია კი თხოულობს, ჯერ-ჯერობით მაინც, 2—3 წლის სისტემატიურ საფუძვლიან მკურნალობას. ამ მხრით ტფილისის ამბულატორია, უფრო კარგს პირობებშია, ხალხი თან და თან ეჩვევა ამ სისტემატიურ, საფუძვლიან წამლობს და ამბულატორიასაც საკმაო რიცხვი ფრიად ლამაზი და კარგი დაკვირვებისა ჰქონდა მალიარიის მკურნალობის მხრით.

ესევე შეუგნებლობა მალიარიის ბუნებისა დიდ დაბრკოლებას უჩენს გამაჯანსაღებელ ჰიდრო ტეხნიკურ მუშაობასაც. ჩვენს ხალხს ჯერ კიდევ სულაც არა აქვს იმის წარმოდგენა, თუ რა დამღუპველი როლი შეუძლიან ითამაშოს ეზოში, სახლის წინ, ჩამდგარ წყლის პატარა გუბეს, მისი და მისი ოჯახის სიცოცხლისათვის. აქედან წარმოსდგება ის დაუდევრობა და მოუფიქრებლობა, რომლითაც ხასიათდება ჩვენი ქვეყნის სოფლის მცხოვრები წყლის მოვლა-განაწილებაში. ჩვენის აქეთ-იქით სიარულის დროს სოფლებში ბევრგან შემხვედრია ისეთი სოფლები, რომლებიც ბუნებრივად არ იძლევიან მალარიის გავრცელების პირობებს, მაგრამ მცხოვრებთა სიბეცემ და უვიცობამ, მალიარიის გავრცელებაში წყლის მნიშვნელობის მხრით, და აქედან წარმომდგარ არა—რაციონალურად წყლის მოხმარებამ დააჭაობიანა სოფლის მიდამოები და მალიარიის მძლავრ ბუდეებად

გახადა. უმეტესი ნაწილი ქართლის სოფლებისა ამგვარადაა დაავადებული. გარე-კახეთში სოფ. აზაბურა პირდაპირ მხოლოდ მცხოვრებლებისგანაა გაბალიჯრებული. აქ წყლის დიდი ნაკლებობა. ზაფხულში თითქმის ცდაბნო უწყლო სახარას მოგაგონებთ. *) ამიტომ მცხვრებლები, თავიანთ საქონლისათვის გაზაფხულის წვიმების დროს ამ წვიმის წყალს უშველებელ ტბად აგუბებენ, რომელიც მერე მთელ ზაფხულს ჰყოფნით. ეს ტბა სავსეა კოლოს ჭიებით და აქედან ამ სოფლის დიდი მალიარიანობა. არც ერთი ბავში არაა ამ სოფელში უელენთო. შველა კი ადვილია: აზამბურს სამი-ოთხი ვერსით დაშორებულია არტეზიანის ჭა, რომელსაც სჭირდება გაწმენდა და გაღრმავება. ამ წყლის მილებით გამოყვანა სოფელში არ შეადგენს ძლიერ გადუვალ საქმეს. მაშინ სოფელს ჯანმრთელი კარგი წყალი ექნებოდა საქმაოდ მცხოვრებლებისთვისაც და საქონლისათვისაც და „მალიარიის" ტბის დაგუბება აღარ დასჭირდებოდათ. ასევეა მეორე სოფელში სართიჭალაში, რომელსაც მცხოვრებლები თვით ჰყოფენ რა ნაწილად. სოფლის ზემო ნაწილს ეძახიან „ჯანმრთელ—ნაწილს, ქვემო ნაწილს კი, მალიარიის ბუდეს უწოდებენ და ეს სულ 1 ან $1^1/_2$ ვერსის სიგრძეზე. ეს მოვლენაც ადვილად აიხსნება. სართიჭალაზე გამოდის სარწყავი არხები, ჩარბიან მთელ სოფელს, ბაღებს და სოფლის ბოლოს რკინის გზის დამბასა ხვდებიან. არხებს, რომლებიც თავში მოვლილი და კარგად შენახულები არიან, ამ ადგილას უკვე უპატრონობა ეტყობათ. წყალს გასავალი არ უვარგა, გუბდება აჭაობიანებს ქვემო ჭალებს და ამით იძლევა საუკეთესო პირობებს კოლოს გავრცელებისთვის. ამ დაჭაობებულ ჭალების გვერდით მყოფ სახლებში (50—100 ნაბიჯით დაშორებულნი ჭაობებისგან) მე თვითონ ვიპოვნე მრავალი ჩაბუდებული ანოფელესის კოლო. მცხოვრებლები ამ სახლებში ფერმკრთალი, ელენთა—გადიდებული, მალიარიან იერს ატარებენ, მეტადრე ბავშვები. სოფლის თავში კი სახლებში კოლო-ანოფელესი ბევრი ვეძიე, მაგრამ ვერ ვიპოვნე მცხოვრებნიც ნაკლებადა ჩივიან ციებაზე. სართიჭალებსაც ადვილად შეეძლოთ თავიანთ სოფლის გაჯანსაღება დასახელებულ ჭაობების გაშრობით. ამით თუ მალიარიას სულ ვერ მოსპობდნენ, სოფლის ქვემო ნაწილს ჯანსაღობის იმ დონეზე მაინც დააყენებდნენ, როგორც

*) თუ არ ჩავთვლით ორ-სამ ძალზე მარილიან მწარე ტბას, საცა კოლოს ჭიები ვერა ბუდობენ. პირადად ჩვენი გამოკვლევა ამ მხრით რამდენჯერმე უარყოფითი შედეგით დასრულდა. ამიტომ ეს ტბები მალიარიის მხრით საშიშროებას არ წარმოადგენენ.

სოფლის ზემო ნაწილია. მაგრამ სართიჭალელები სულ წინააღმდეგ იქცევიან. ისინი ამ სულ უბრალო ჰიდრო-ტეხნკურ მუშაობის გაწევის მაკივრად, რომელიც თამამად ადგილობრივ ძალებით ორ-სამ კვირაში შეუძლიანთ გააკეთონ, ანგრევენ ქემო ნაწილში სახლებს და სოფლის ზემო ნაწილში გადააქვთ. რასაკვირველია, ამით ისინი მალიარიას თავს ვერ დააღწევენ. სოფლის ზემო ნაწილი იმ დრომდე იქნება ჯანჰრთელი, სანამ სოფლის ქვემო ნაწილშიც ადამიანი ცხოვრობს; როდესაც სოფლის ბოლოდან სოფლის თავში გადასახლებიან მცხოვრებლები, მაშინ კოლო (ეს ხომ ადამიანის არა-მკითხე შინაური ცხოველად გამხდარა), ძველ ადგილას რომ ველარ იპოვნის ადამიანს, აუცილებლად თან გაჰყვება გადასახლებულებს და ახალ ოჯახებს დაიკადებს. სოფლის ქვემო უბანი აქამდე ბარიერი იყო, რომელსაც კოლო არა სცილდებოდა, რადგან ადამიანს აქაც პოულობდა და სხვაგან ძებნა არ ესაჭიროებოდა.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ხალხის ამ მხრით გათვითცნობიერობას, საქ. წითელმა ჯვარმა ეს მხარეც ჯეროვანად შეაფასა — და ამ მხრივაც დაიწყო მუშაობა. მან გამოსცა პოპულიარული ბროშიურა ხალხში საკითხავად „მალიარია და მის წინააღმდეგ ბრძოლა". კიდევ აპირებს ამგვარ ლიტერატურის გაძლიერებას, თავის პუნქტებიაც დაავალა ხალხში საუბრები დალექციები ეკითხათ მალიარიაზე, რათა ხალხმა დაინახოს და შეიარაღოს თავის მტერი. სამწუხაროდ, ეს ბაასი და ლექციები ჩვენს პუნქტებზე ჯერ-ჯერობით მხოლოდ პრიმიტიულად სწარმოებს. ასეთ ლექციებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, როცა მათ თან ახლავს სურათები, ნახატები, დიაგრამები და სხვა ამგვარი. მეტადრე ბუნდოვანი სურათები, ამგვარ ლექციებს ყურადღებით ისმენა ხოლმე ხალხი და ხალისიანათაც ესწრება. ჩვენი პუნქტები ამ სალექციო ხელსაწყოს მხრით ძალიან ჩამორჩენილნი არიან. მათ არაფერი აქვთ. ამისი მიზეზი ისევ უსახსრობაა. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მალე შევავსოთ ეს ნაკლი, როგორც კი საამისოდ ცოტაოდენი თანხა მაინც გაგვიჩნდება, ჩვენი პუნქტები მარტო ამ მხრით არ არიან ღარიბნი, მათ ბევრი უსაჭიროესი საქიმო და საფთიაქო ინვენტარიც აკლიათ. შტ ტებიც ყველგან შეესებული არ არის. ორ პუნქტზე, ნატახტარი და ზინაბიანი, მარტო ექიმის თანაშემწეები მუშაობენ. ბაშის პუნქტზე მარტო ერთი ექიმია, იმედი გვაქვს, ახლო მომავალში პუნქტებს ყოველის მხრით გავაუმჯობესებთ, როგორც პერსონალისა ისე ინვენტარის და ხელაწყოს მხრითაც, რომ იგინი მართლა სამაგა-

ლითო სამკურნალო და კულტურის შემტანელი პუნქტები იყვნენ როგორც ეს წითელ ჯვრის საზოგადოებას შეჰფერის.

საქართველოს წითელ ჯვარს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ტვირთის სიმძიმე, როდესაც მალიარიის საწინააღმდეგო ბრძოლის წარმოებას მოჰკიდა ხელი, მას არც თავის მატერიალურს—ფინანსიურ მდგომარეობაზე ჰქონდა გადამეტებული წარმოდგენა, საზოგადოების პრეზიდიუმს ნათლადა ჰქონდა ყველაფერი გათვალისწინებული, თავისი სიღარიბეც და ტვირთის სიმძიმეც. ამიტომ მან საერთაშორისო წითელ ჯვრის კომიტეტს სთხოვა დახმარება, რის შედეგიც ის იყო, რომ საერთაშორისო კომიტეტმა ჯერ-ჯერობით 200 კილო ქინაქინა მოგვაწოდა და დაგვპირდა საქართველოში სამაგალითო სამალარიო სადგურის მოწყობას. ეს 200 კილო ქინაქინა კარგ დახმარებად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნისათვის.

ფინანსიურ მხრის გამოკეთების იმედიც დიდი აქვს ჩვენს საზოგადოებას. ჩვენი მთავრობა დაგვეხმარება და მოგვცემს საშუალებას ყოველისმხრივ გამოუძებნოთ წყარო საზოგადოებას შემოსავლის გასაძლიერებლად. ეს შემოსავალი, უპირველესად ყოვლისა, ზემო დასახულ მიზანს. მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის, შესაფერ ნიადაგზე დაყენებას მოხმარდება, რასაკვირველია, მას შემდეგ, როცა დაიკმაყოფილებს იმ აუცილებელ მოთხოვნილებათ, რისთვისაც არის დაარსებული საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.

დასაწყისი იყო ძნელი. ერთი ნაბიჯი უკვე გადადგმულია და საქმე უნდა დაგვირგვინდეს მით უმეტეს, რომ უგეგმო უსისტემო მუშაობა კი არა არამედ მწყობრი, მოფიქრებული, სახელმწიფოებრივ მაშტაბით გათვალისწინებული გეგმის შესაფერისი მუშაობა მოგვველის, რომელსაც გვაძლევს და ხელმძღვანელობს მთავარი სამალარიო კომიტეტი. ასეთი მუშაობა უფრო თვალსაჩინო და ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს და ჩვენც ჩვენს ძალებს არ დავიშურებთ.

ექ. ბეს. ოქროპირიძე

საქართველოს წით. ჯვრის საექიმო ექსპედიცია სვანეთში.

(თვალის ერთი მოვლებით).

გასული წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში საქ. წითელი ჯვრის ორგანიზაციის მიერ სვანეთისთვის გამოწყობილ იქმნა საექიმო ექსპედიცია ბავშვთა ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბარის მცხოვრები, ვისაც მოწყენილი აქვს ყოველდღიური ჭაპანწყვეტა, უნდა წაიდეს სვანეთში, რომ მოისვენოს ფიზიკურად, დასტკბეს ბუნების სიმშვენიერით და დაბრუნდეს სრულიად გაჯანსაღებული და მოსვენებული.

აუწერელია ის შთაბეჭდილება, რომელსაც განიცდის მგზავრი, სვანეთში მოგზაური.

საქართველოს კუთხეებიდან სვანეთს აქვს ორი შესავალი გზა: ერთი ქუთაის-ლეჩხუმით, მეორე კი ზუგდიდ-ჯვაროთ; ორივე ერთი მეორეს სჯობია თავისი წარმტაცი სანახაობით.

საკმარისია ლეჩხუმის გზით ახვიდე ლატვარზე, (საზაფხულო გზაა) რომ ადამიანს დაგავიწყდეს ყოველივე ამდღიურითვალწინ იშლება კავკასიონის ქედი თავისი ჰაღარა გრეხილებით, რომელსაც თავს დასცქერის მოუდრეკელი იალბუზი და ითქოს ეჯიბრება უშბას (უმაღლესი მწვერვალია სვანეთში). დგეხარ და ვერ მოგიფიქრია ფეხის გადადგმა, გინდა რომ მუდმივად იქ დარჩე.

ასეთ სანახაობას არ წარმოადგენს ზუგდიდ-ჯვაროს გზა, მაგრამ იქ სხვა მიმზიდველობას ჰპოულობ: მიდიხარ მდინარე

ენგურის ნაპირებით, სადაც გზის სიგანე არ აღემატება არშინ-არშინ ნახევარს, ზოგიერთ ადგილას კი ნახევარი არშინიც არ არის. ქვევით კი 50 —100 საჟენის სიმაღლეზე, მიშხუის დაუნდობელი ენგური, რომელიც თავისი ხმაურობით თითქოს გეძახის „სად მიდიხარ, აქ ჩამო, ჩემს ტალღებში გაეხვიე და მე მიგიყვან დანიშნულ ადგილასო;“ მართლაც, არა ერთი და ორი მგზავრი იცის ამ მდინარემ თავის ტალღებში გახვეული და შთანთქული; ტყვილი არ დაუწერიათ ამ გზის შესახებ: „თუ სვანეთში წასვლა დააპირო, ანდერძი მზად გქონდესო“.

ეს მხარე არც სამკურნალო მნიშვნელობასაა მოკლებული: რა რიგის მინერალური წყალი გინდა, რომ იქ არ იყოს: საინტერესოა ამ მხრივ ლახამულის თემში უმთავრესად სოდის წყალი.—ცხუმარის თემში უმთავრესად სოდის რკინა ნარევი, ბეჩოს თემში (შტიხირის) ძლიერ გაზიანი მჟავე წყალი.—მულახის თემში რკინის წყალი,—იფარის თემში გოგირდის ცივი წყალი; ამ უკანასკნელზე საბანაო სახლიც ყოფილა, მაგრამ ამ სამი ოთხი წლის წინად ბოროტ ხელს გაუნადგურებია; ხალხმა აღმოთქვა სახლის აშენება, თუ რომ ცოტას დავეხმარებითო.

სამეგრელოს ახლო ჭვიბერის თემიდან გაუვალ უღრან ტყეში, სადაც მხოლოდ მონადირეები შედიან, ყოფილა ცხელი გოგირდის წყალი, რომლის სუნი 3—4 ვერსის მანძილზე სცემს და რის საშუალებითაც მონადირეებს მიუკვლევიათ ამ წლისათვის, თვით ეს ადგილი არ წარმოადგენს ადამიანის უხელობას; ამ ცხელი გოგირდის წყალს ოდესღაც, ალბად, ჩვენი წინაპრები სარგებლობდენ, ვინაიდან იმ წყალთან ჩასასვლელად კიბეების ნასახი ეხლაც ყოფილა.

თვით ჭვიბერის თემი დიდ არქეოლოგიურ მნიშვნელობას წარმოადგენს. დიდი ხანი არ არის, რაც ეს თემი აღმოკენდა. სულ 20—25 წელიწადი. მიწის სივიწროვის გამო ჩუბეხევის თემიდან გადასახლდენ თავისუფალ მიწებზე, რომელიც დაფარული ყოფილიყო გაუვალი ტყით; გაუკაფავი (იქაური გაკაფვა კი ცეცხლის წაკიდებაა,. რომლითაც იღუპება მთელი სი-

მდიდრე). ტყის გაკაფვის შემდეგ იქ უნახავთ ძველი ნანგრევები, რომელთა შორის აღმოუჩენიათ მრავალი ღირსშესანიშნავი ნივთი და განძეულობა, ფულები, ალექსანდრე მაკედონელის სახით და წარწერებით.

არც ეხლა არის ინტერესს მოკლებული ჰვიბერის თემი, ყოველი სვანი, რომელიც გადის გუთნით სამუშაოდ, დარწმუნებულია, რომ რასმე იპოვნის. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს პატარა მთა, რომელიც ეკუთვნის ჭალდნებს (გვარია), სადაც არის ნაშთები ქარხნისა არხებით (კანალიზაცია). მაგრამ ეს მე არ შემეხება. დე გამოირკვიოს ჩვენმა არქეოლოგიურმა საზოგადოებამ, რომელიც იქ ნახავს მრავალს ღირსშანიშნავ ნივთს.

სვანეთს, რომ გზა ჰქონდეს, იგი ერთად-ერთი საუკეთესო სააგარაკო კუთხე იქნებოდა თავისი სიმაღლით, მინერალური წყლებით და დაბურულ ნაძვ-ფიჭვნარით; სხვა რომ არა იყოს რა, ესეც საკმაო იქნებოდა იქ გზის გასაყვანად, მაგრამ გზაზე გაწეულ ხარჯებს ხელად დაფარავს ტყის ექსპლოატაცია და ის მადნეულობა, რომლითაც მდიდარია ეს კუთხე.

ასეთ ბუნებრივ სიმდიდრეში მცხოვრებნი კი საშინელ სივიწროესა და გაჭირვებას განიცდიან, რისი მიზეზიც უგზოობაა. ბუნების წიაღში აღზრდილი მცხოვრებნი ერთი შეხედვით ერთობ ჯანმრთელსა და მთის არწივებს უნდა წარმოადგნენ. მაგრამ აქ სულ სხვა მდგომარეობაა. მამაკაცობა შედარებით უფრო ჯანსაღია, ვიდრე ქალები. ეს უკანასკნელნი კი, ფერმკრთალნი, გამხდარნი და დაავადებულნი არიან. ასეთი მათი მდგომარეობა გამოწვეულია მათი ყოფა ცხოვრებით და იმ ჩვეულებებით, რომლის დროს ქალებს გარედ ერეკებიან „სადაც გინდა მოილოგინე, ოღონდ მამაკაცს კი არსად დაენახოვო“.

90% მთელი ავადმყოფობისა ჰლექს წარმოადგენს, რაც 3 მიზეზით უნდა აიხსნას: ა) ქრონიკული ნაკლებობა საჭმელისა, ბ) ბინა და გ) ანტისანიტარული მდგომარეობა.

ძლიერ გავრცელებულია რევმატიზმი. რაც იქაური ბინის ბრალია უმეტესად. არც კუჭის ავადმყოფობას ჰყავს უყურადღებოთ ეს ხალხი და ეს კი აიხსნება: რახის უზომო სმით, გამოუცხობელ პურის ჭამით და ხორცის უზომო ხმარებით, რომლის დამუშავებას პირში ვერ ასწრებენ. ჩქარი ჭამის გამო, და სრულიად დაუღეჭავი მიდის კუჭში.

ბავშთა შორის ავადმყოფობა ერთობ გავრცელებულია, ხშირია საყმაწვილო და კანის ავადმყოფობანი.

აღსანიშნავია აგრეთვე ზამთრის თვეებში მძვინვარე ისპანკა, რომელმაც ეპიდემიის ხასიათი მიიღო და არ იყო ოჯახი, რომ ერთი-ორი ავადმყოფი არ წოლილიყოს.

ექსპედიციის მუშაობა კი მრავალ-ფეროვანი იყო; არ კმაყოფილდებოდა მარტო ბავშთა ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლას, არამედ ყველას დახმარებას უწევდა: დიდს, პატარას, ქალსა და კაცს, რითაც მათი ნდობა და დიდი პატივიცემა მოიპოვა. იყო ისეთი შემთხვევები. როცა ქვემო სვანეთიდან (ლეჩხუმის მაზრიდან) მოდიოდენ ავადმყოფები, აგრეთვე სამეგრელოდანაც და შეკითხვაზე „ამ სიშორეს რამ წამოგიყვანათ — მეთქი". მიპასუხებდნენ „გვიქესო".

მაგრამ ექსპედიციის მუშაობის შესახებ შემდეგში, როცა ჩავაბარებთ წლიურ ანგარიშს მის საქმიანობის შესახებ, ამჟამად კი თამამად შემიძლია ვთქვა. რომ ხალხი კმაყოფილი იყო ექსპედიციის მუშაობით, თუმცა გამონაკლისი ყოველგან არის და შესაძლებელია, ყველას ვერ ვაკმაყოფილებდით.


ექსპედიციის გამგე **ი. კობალაძე.**

წ. ჯ. საერთაშორ. კომიტ. წარმომადგ. საქართველოში.

ა/წ. აპრილის 18 საქართველოს ეწვია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელი რუსეთში, მოქ. ვერლენი; საერთაშორისო კომიტეტისაგან მას მინდობილი ჰქონდა ჩვენში იმ 200 კილო ქინაქინის მოტანა და საქართველოს წითელი ჯვრისთვის გადაცემა, რომელიც ამსტერდამის სინდიკატთა საერთაშორისო ფედერაციამ უძღვნა ქართველ ხალხს. ქინაქინა ზღვით მოვიდა ბათომს, სადაც მას დახვდა მოქ. ვერლენი და საქართვ. წით. ჯვრის წარმომადგენელი. სინდიკატების ფედერაციის სურვილისამებრ ეს ქინაქინა საქართვ. წითელმა ჯვარმა უნდა გაანაწილოს ჩვენი რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეში საჭიროების მიხედვით. მოქ. ვერლენს საერთაშორისო კომიტეტის მიერ დავალებული ჰქონდა აგრეთვე მასალების შეკრება ჩვენში მალარიის გავრცელებისა და მის წინააღმდეგ საბრძოლველ ღონისძიებათა შესახებ, რადგან, საქართველოს წ. ჯვრის შუამდგომლობით, საერთაშორისო კომიტეტს განზრახვა აქვს დაარსოს ჩვენში სამალარიო—სადემონსტრაციო სადგური. ამ მიზნის განსახორციელებლად აპრილის 24 მოქალ. ვერლენის თანადასწრებით გაიმართა შეერთებული კრება საქართვ. წითელი ჯვრისა და ჯანსახკომის სათანადო ორგანიზაციებისა, სადაც წარმოდგენილ იქნა ვრცელი მასალა მალარიის შესახებ. საქართ. წ. ჯვარმაც, თავის მხრით, გადასცა მას მდიდარი მასალა და ცნობები ხსენებული საკითხის შესახებ. მოქ. ვერლენმა 10 დღე დაჰყო ტფილისში და მეტად კმაყოფილი დარჩა, როგორც საქართვ. წ. ჯვრის საქმიანობით, ისე ქართული მასპინძლობით. როგორც ნაწილი აღთქმული დახმარებისა, მან გადასცა განსაზღვრული თანხა ბავშვთა დამხ. საზოგადოებას. წასვლისას მან ინახულა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და მადლობა გადაუხადა დაკისრებულ მისიის აღსრულებაში ხელის შეწყობისათვის.

სადგურ ბალაჯარიდან საქართვ. წ. ჯვარმა ვერლენისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ვტოვებ რა საქართველოს, გთხოვთ მიიღოთ გულითადი მადლობა მეგობრულად მოპყრობისათვის, გთხოვთ აგრეთვე გადასცეთ მთავრობას ჩემი მადლობა განსაკუთრებულ ყურადღებისათვის“.

როგორც საერთაშორისო კომიტეტის „ბიულეტენი“ გადმოგვცემს, სინდიკატთა საერთაშორისო ფედერაციას წრფელი მადლობა უძღვნია საერთაშორისო კომიტეტისთვის, რომელმაც თავს იდო ჭინაჭინის გამოგზავნა და საქ. წ. ჯვრისთვის ჩაბარება.



(მარცხნიდან მარჯვნით), 1) ც. კ. წევრი **ალ. კობალაძე**, 2) წ. ჯ. საერთაშორისო კომიტეტის დელეგატი **ვ. ვერლენ**, 3) საქ. წ. ჯ. ც. კ. პრეზიდიუმის თ-რის მოადგ. **გ. ნუცუბიძე** (დგას), 4) ც. კ. წევრი ექ. **ილია მამულია**, 5) ც. კ. პრეზიდ. წევრი **ივ. ჭუთათელაძე**.

წითელი ჯვრის ქრონიკა.

საქართველოში:

ტფილისში მოქმედებს ცენტრ. ამბულატორია შემდეგის კაბინეტებით: მალარიისა. ჭლექისა, კბილის საექიმო და ლაბორატორია. ამბულატორიას 1 იანვრიდან მაისის დამლევამდე მიუღია 5803 ავადმყოფი, დღიურად კი 1300.

— —

1923 წლ. განმავლობაში საექიმო პუნქტებს მთელს რესპუბლიკაში (გარდა აფხაზეთისა. აჭარისა და სამხრ. ოსეთისა მიუღია 12,500 ავადმყოფი.

— —

ამ თვის დამლევს გორში გაიხსნება საავადმყოფო 30 საწოლით მათში 10 უფასო იქნება.

— —

ცენტრ. კომიტეტი ამჟამად ინახავს შემდეგ საექიმო პუნქტებს: ს. ს. ნატახტარში, ზინობიანში (უდინების სოფელი), ბაშში, ორპირში, კაკხში.

— —

კახეთში ამჟამად მოქმედობს ორი სამალარიო ექსპედიცია.

— —

სვანეთის საექიმო ექსპედიციამ 6 თვის განმავლობაში მიიღო 9,000 ავადმყოფი: ექსპედიცია, ვადის გათავების გამო უნდა გამოგვეწვია, მაგრამ ხალხის თხოვნისა და ხელისუფლების წინადადებით კვლავ რჩება იქ.

ამ წლის იანვრიდან მოქმედებს სააფთიაქო საქონლის საბრეწველო-სავაჭრო წარმოება „ტეხნო-ქიმიკოსი“.

გაიხსნა აფთიაქი, კირხის ქუჩაზე, რვა თანამშრომლის შტატით, რომელიც დღიურად აწარმოებს რეცეპტს და იძლევა შემოსავალს.

მაისში გაიხსნა წ. ჯვრის საპნის ქარხანა შეერთებული კაპიტალით.

ტფილისშივე ასეთივე პირობებით გაიხსნა სავაჭრო კანტორა.

გაფართოვდა საკუთარი სტამბა, ლ. დუმბაძის ქ., საბეჭდავი დიდი მანქანის შეძენით.

თოხლიაურის მამულში (კახეთში) სწარმოებს კულტურული დარგების მეურნეობა.

ტფილისის ინვალიდთა მესამე სახლში მოქმედებს წ. ჯ. ამბულატორია.

წ. ჯ. სანიტარული და „ავანო“ — მატარებელი 4 თვის ვადით გადაეცა საკურორტო სამმართველოს აგარაკების საჭიროებისათვის.

მოხდა რეორგანიზაცია წ. ჯ. ეკონომგანყოფილებისა წაუგებელ ოპერაციების საფუძველზე.

მოხდა კლუბების სრული რეორგანიზაცია გამგებლობის წესის გამარტივებით.

შემუშავდა წ. ჯ. ახალი წესდების პროექტი, რომელიც საზოგადო ყრილობას წარედგინება დასამტკიცებლად.

გადმოსახლებულ უდინებს მიეცა 50 კომპლექტი ტანისამოსი.

ლენინგრადის ქართველ სტუდენტებს აღმოეჩინა ერთდროული დახმარება.

აჭარისტანის შრომის სახ. კომისარიატს ერთდროულივე დახმარება უმუშევართა უფასო სასადილოს გასახსნელად.

საქართვ. ჯანსაღობის სახ. კომისარიატის თხოვნით, წ. ჯვარი შეუდგა წალვერისა, ახტალისა, ბორჯომისა და წყალტუბოს აგარაკების მდგომარეობის გამოკვლევას მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლის მხრივ.

ქუთაისში გაიხსნა სამალარიო დისპანსერი წ. ჯვრისა და მალე გაიხსნება აფთიაქიც.

აჭარისტანში წ. მთვარის განყოფილებას აქვს შემდეგი პუნქტები: ს. ს. აჭარის წყალზე, ქობულეთში, ქედაში და აფთიაქი ბათომში.

აფხაზეთში სამი საექიმო პუნქტი და აფთიაქი სოხუმში.

სამხრეთ-ოსეთში ერთი საექიმო პუნქტი. (ს. ჯავაში).

რ უ ს ე თ ი:

ა/წ. აგვისტოს პირველიდან ოკინის გზის ბილეთებზე დადებული გადასახადის მთელი შემოსავალი გადაეცა წითელ ჯვარს.

საკავშირო სახკომ საბჭომ განსაკუთრებული გადასახადი

დაადო გემის ბილეთებს წ. ჯვრის სასარგებლოდ: მშვიდობიან დროინდელი 15 კაპ. 1 და 2 კლას. ბილეთებს, 2 მან. და 50 კ. ღირებულებიდან დაწყებული, ხოლო 3 კალისა 4 მან. ღირებულ. დაწყებული. ჰაერის გზით მოგზაურებს გადახდებათ 4% ბილეთის ფასისა.

მოსკოვს მივიდა რუსთა ბავშების ამერიკულ დამხმარე კომიტეტის მდივანი მისს ვილსონი, რომელმაც დაათვალიერა ვოლგის მხარის საბავშო სახლები და რუს. წ. ჯვარს მათ სასარგებლოდ გადასცა 10.000 ოქრ. მანეთი.

რუსეთის წ. ჯვრის ცენტრ. კომიტეტმა 1.200 ოქრო. მანეთი გაუგზავნა გერმანიის წ. ჯვარს რურის მშრომელთა დასახმარებლად.

ბავშთა დამხმარე საერთაშორისო კავშირმა მიმართა რუსეთის წ. ჯვრის ცენტრ. კომიტეტს ჩაეწეროს კავშირის წევრად და მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში: რუსეთის წ. ჯვარმა თანხმობა განაცხადა.

რუსეთის წ. ჯვარმა თავის რწმუნებულად ავსტრიაში დანიშნა მოქ. გოლდშტეინ.

გამოვიდა რუსეთის წ. ჯვრის კალენდარი 1924 წ. სადაც მოთავსებულია რუს. წ. ჯ. მოღვაწეობის ანგარიში და მრავალი საჭირო ცნობა სამკურნალო-სასანიტარო დარგისა.

უკრაინა:

უკრაინის სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო სუბსიდია მისცეს უკრაინის წ. ჯვარს სოფლებში მოქმედების გასაძლიერებლად.

უკრაინის წით. ჯვარმა შუამდგომლობა აღძრა საკავშირო სახკომსაბჭომს წინაშე, რათა თეატრებიდან და გასართობებიდან ყოველთვიურად იკრიბებოდეს ხოლმე °/₀°/₀ ანარიცხები წით. ჯვრის სასარგებლოდ და არა ყოველდღიურად, როგორც აქამდე იყო.

წ. ჯვრის მთავარმა სამმართველომ მოაწყო ქირურგიული ხელსაწყოთა სახელოსნო, სადაც მზადდება, როგორც ახალი, ისე შეკეთებული ინსტრუმენტები.

1924 წლ. მაისისთვის წ. ჯვაროს ჰქონია 41 ამბულატორია და კლინიკა: ამათგან 30 სამკურნალო, 7 კბილის საექიმო, 2 თვალისა და ერიც პოლიკლინიკა, სატუბერკულოზო დისპანსერი 20, ამათში: 3 მეტალისტებისათვის, 1 სტუდენტებისთვის, 5 გლეხებისთვის და 11 სხვა და სხვა პირთათვის.

შ ც ხ ო ე თ ი:

ა წ. ივლისში დანიშნულია წ. ჯ. საერთაშორისო სავანგებო კონფერენცია, რომელმაც უნდა დაამტკიცოს წ. ჯ. საერთაშორისო კომიტეტის ახალი ორგანიზაციის ფორმა; ახალმა ორგანიზაციამ უნდა შეათანხმოს მოღვაწეობა წ. ჯ. საერთაშორისო კომიტეტისა და წ. ჯვრის ლიგისა, რომელნიც დღემდე დამოუკიდებლად მოქმედებდენ.

წ. ჯ. საერთაშორისო კომიტეტმა ოფიციალურად სცნო შანხაის წითელი ჯვარი.

ჰოლანდიის წ. ჯვარს 1922 წლ. განმავლობაში რუსეთის დამშეულთათვის აღმოუჩენია 2,000,000 შვეიც. ფრანკის დახმარება.

ამავე დროს გერმანიის გაჭირვებულთათვის შეუგროვებია 188.000 ფლორინი.

შვეიცარიის წ. ჯვარს რუსეთისათვის სიმშილობის პერიოდში გაუწევია დახმარება 676,657 შვეიც. ფრანკისა; მის ჰოსპიტლებში 2 თვის განმავლობაში გაუვლია 6,176 ავადმყოფს, ხოლო 74,534 კაცისათვის სამკურნალო დახმარება აღმოუჩენია.

ამერიკის წ. ჯვარს 1923 წლ. განმავლობაში ჰყოლია 3,500,000 მოზრდილი წევრი და 5,000,000 ახალგაზრდა. გასული წლის საერთო ხარჯი უდრის 9,738,448 დოლარს; ამ ჯამში ნაანგარიშევი არ არის გასავალი ამერიკის წ. ჯ. ადგილობრივ განყოფილებათა, რომელთა რიცხვი 3,600 აღემატება. უდიდესი ნაწილი გასავლისა (6. მილ. დოლარი) დახარჯულა ომის ინვალიდებსა და დასახიჩრებულებზე.

საბერძნეთის აყრილთა სასარგებლოდ ამერიკის წ. ჯვარს 2,605,696 დოლარი გაუცია.

პროვინციის ცხოვრება.

ავტონომიური აჭარისტანი: აჭარისტანის წ. მთავრის კომიტეტი დაარსდა 1923 წლ. მაისის 15. კომიტეტის შედგენილობა: თახსინ ხიმშიაშვილი (თ-რე,) ოსმ. კონცელიძე (თ-რის მოადგ.); გ. ავალიანი (მდივანი), მ. ახალაძე, ვ. ნარჩემაშვილი. მ. გოგიბერიძე, ექ. კ. მხეიძე, მდოიანცი. კანდიდატები: ოსმ. გურგენიძე, რეჯებ თხილაშვილი. სარევიზიო კომისია: ი. ჯიქია, კუხალეიშვილი. ჰასან ქადაგიძე. კანდ. ჰასან ჩალოღლი. კომიტეტს ჰყავს 350 წევრი. აქვს ორი საექიმო პუნქტი: აჭარის წყალზე და ქობულეთში. აფთიაქი ბათომში.

მოკავშირე აფხაზეთი: განყოფილება დაარსდა 1924 წ მარტის 9. კომიტეტის შედგენილობა: ნ. ლაკობა (თ-რე), ექ. გრიგოლია (თ-რის მოადგ.). მიხ. თუმანიშვილი (მდივანი), ხასაია, ლიახოვი. ჰყავს 500-მდე წევრი. აქვს სამი საექიმო პუნქტი: ოჩემჩირეში, ს. გუდავაში (სამურზაყანო) და პეტრო პავლოვკაში (გუდაუთ. მაზრა). განზრახულია ორი სამალარიო რაზმის მოწყობა. განზრახულია აგრეთვე გუდაუთში ფილიალის დაარსება.

სამხრეთ-ოსეთში: განყოფილება დაარსდა 1924 წ. 4 მარტს. კომიტეტის შედგენილობა; ექ. თომაევი (თავ-რე), გ. გაზაევი (თ-რის მოადგ.), ს. თიბილოვი (მდივანი), ნ. გასიევი, ნ. ხეთაგუროვი. ჰყავს 400-მდე წევრი. აქვს ერი საექიმო პუნქტი ს. ჯავაში. განზრახულია ამბულატორიის გახსნა.

ჭუთაისი: განყოფილება დაარსდა 1924 წ. 4 თებერვალს კომიტეტის შემდეგის შედგენილობით: ექ. ვ. აბზიანიძე (თ-რე), ექ. ა. ძიძაძე, დ. კობახიძე, შ. ჩხეიძე. მ. შარაბიძე. კანდ.

ექ. ვ. ლორთქიფანიძე და ბარამიძე, ჰყავს 1200-მდე წევრი. აქვს ორი საექიმო პუნქტი: ს. ორპირში (ოკრიბა) საკუთარს შენობაში, და ს. ბაშში. სამალარიო დისპანსერი ქალაქში. განზრახულია აფთიაქისა და ვენერიულ. ამბულატორიის დაარსება.

ფოთი: განყოფილება დაარსდა 1924 წ. 6 მაისს, კომიტეტის შედგენილობა: ექ. კ. მიქაბერიძე (თ-რე). პრ. მეგრელიშვილი (თ-რის მოადგ.). გრ. მეუნარგია (მდივანი), ვ. ჯოჯუა, სპ. ქოქოსაძე. ჰყავს 700-მდე წევრი. განზრახულია ფოთში ამბულატორიის დაარსება.

ოზურგეთი: განყოფილება დაარსდა გასული წლის ბოლოს. კომიტეტის შედგენილობა: მარიამ ლომინაძე (თ-რე), მ. სიმეოლიდი (მდივ.) ა. ტუსკია, ნ. დოლიძე, დ. ნიკოლაშვილი. ჰყავს 200-მდე წევრი. განზრახულია საავადმყოფოს გახსნა 30 საწოლ. და სამალარიო პუნქტების დაარსება.

ახალი-სენაკი: განყოფილება დაარსდა 1924 წ. აპრილის 4, კომიტეტის შემდეგი შედგენილობით: ანნა მამულია, ვ. ჩაკვეტაძე, იელ. ხოფერია, ალ. ოჩიგავა, კ. მელქაძე. ჰყავს 300-მდე წევრი. ახალ-სენაკში აქვს უფასო ამბულატორია, სადაც დღემდე დახმარება აღმოსჩენია 1847 ავადმყოფს, გარდა ამისა მაზრის ულარიბეს მცხოვრებთ აღმოეჩინათ დახმარება წამლითა და ტანსაცმლით.

ჭიათურა: განყოფილება დაარსებულია 1924 წ. 30 მარტს. კომიტეტის შედგენილობა: მარიამ ჩიტიშვილი (თ-რე) ექ. ი. ჭოჭინაძე (მოადგ.), ტ. მგალობლიშვილი, ბ. ფირცხალავა, ნ. ცირეკიძე. ჰყავს 200-მდე წევრი. აქვს ერთი საექიმო პუნქტი ს. კაცხში.

გორი: განყოფილება დაარსდა 1923 წ. 22 ნოემბერს. კომიტეტის შემდეგის შედგენილობით: ექ. გ. გვერწითელი (თ-რე), ვ. ქურდაძე, არშაკუნი, ძინძიბაძე, ზახარიანცი. აქვს ორი ბიურო: ხაშურსა და ბორჯომში. სულ მაზრაში ჰყავს 800-მდე წევრი. ამ დღეებში ქ. გორში გაიხსნება საავადმყო-

ფო. 30 საწ. კომიტეტი წამლეულობით დახმარებას უწევს მაზრის ღარიბ მცხოვრებთ.

სიღნაღი: განყოფილება დაარსდა 1923 წ. 28 დეკემბერს. კომიტეტის შედგენილობა: ალ. ძიძაძე (თავ-რე), მ. ვარამაშვილი, დ. ლაღაზიძე, კ. კუპრეიშვილი, და ნაცვლიშვილი. ჰყავს 200-მდე წევრი.

თელავი: განყოფილება დაარსდა 1924 წ. 15 იანვარს; კომიტეტის შემდეგის შედგენილობით: ექ. ბაღაშვილი (თ-რე), თამარ ცინცაძე (მოადგ.), ა. მარტინოვი (მდივანი), აბ. თენეიშვილი, ფრანგიშვილი. განყოფილებას ჰყავს 300-მდე წევრი.

დუშეთი: განყოფილება დაარსდა 1924 წ. 17 მარტს. კომიტეტში შედიან: ექ. ა. არდიშვილი (თ-რე), იაკ. შარაშენიძე, ს. ლეჟავა, ს. არსენიძე, ტინიანოვი, ფსუტური. განყოფილებას ჰყავს 200-მდე წევრი.

წითელი ჯვრის საგდღიურის ანგარში.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიზნების ხალხში გასატანად და მატერიალურ საღსრის გასაძლიერებლად, მიმდინარე წლის თებერვლის 9, 10 და 11 მოწყობილ იქნა წითელი ჯვრის სამდღიური, რომელიც, მთავრობის დეკრეტის ძალით, ყოველწლიურად გაიმართება ხოლმე იანვრის 27, 28 და 29. წელს ეს სამდღიური, ამხ. ლენინის გარდაცვალების გამო, დაგვიანებით იქნა გამართული, მის მოსაწყობად არჩეული იყო საგანგებო კომისია პარტიულ და საზოგადოებრივ მოღვაწეთაგან, ამხ. მარიამ პლატონის ასულის ორახელაშვილის თავაჯდომარეობით. კომისიამ, საქმის ორგანიზაციის გასაადვილებლად თავის წრიდანვე გამოჰყო სამი სექცია: ა) სალიტერატურო-სააგიტაციო, ბ) წევრთა მიმღები და გ) ფინანსიური.

სალიტერატურო სექციამ წ. ჯვრის იდეისა და მიზნების ფართო მასსებში გასავრცელებლად პრესაში გასწია პროპაგანდა წერილებისა და მოწოდებათა მოთავსებით, აგრეთვე ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში მოაწყო ლექცია-მოხსენებანი, სადაც კომისიის მიერ დანიშნულნი, წ. ჯვრის თანამშრომლები და სხვანი, მუშათა წრეებს აცნობდნენ საზოგადოების საქმიანობასა და პერსპექტივებს. ამასთანავე ვრცელდებოდა საზოგიდოების მიერ გამოცემული ლიტერატურა.

წევრთა მიმღებმა კომისიამ იმ თავითვე დაიწყო კერძო პირთა და ორგანიზაციათა საზოგადოების წევრებად ჩაწერა, რაც დღემდე გრძელდება.

ფინანსიურმა კომისიამ იძია და გამონახა ღონისძიებანი წ. ჯვრის ქონებრივი საღსრის გასაძლიერებლად. ამ მიზნით მან: ა) მთავრობისაგან გამოითხოვა ნებართვა გასართობებისა და საჯარო დაწესებულებათა 10%-ით დაბეგვრისა და კიდევაც მიიღო ასეთი, ეს ღონისძიება შესრულებულ იქნა შრომის ბირჟიდან მოწვეულ უმუშავართა დახმარებით: ბ) ტფილისის აღმასკომის განკარგულებით

კომუნალურმა ყველა აბანომ ერთი დღის მთელი შემოსავალი გადასდო წითელი ჯვრის სასარგებლოდ, ამასთანავე აბანოების მუშა-მოსამსახურენი ამ დღეს უსასყიდლოდ მუშაობდნენ; გ) სასტუმრო „ნოეში“ მოწყობილ იქნა სალამო-კაბარე ბუფეტით.

ასეთივე სამდღიური, მგზავსისავე პროგრამით, პროვინციაშიც უნდა გამართულიყო, რისთვისაც საზოგადოების საქმეთა სამმართველომ თავის დროზევე მიიღო შესაფერისი ღონისძიებანი, მაგრამ, ზოგიერთ ადგილს გარდა, სამმართველოს დღემდე არა აქვს ცნობა იმისა თუ როგორ და რამდენათ განახორციელა პროვინციამ ეს განზრახვა.

სამდღიურის მთელი შემოსავლის ანგარიში ასეთია:

№ №	შემოსავალი სამდღიურისა.	ჩერვონ.		№ №	გასავალი სამდღიურისა	ჩერვონ.	
		მან.	კ.			მან.	კ.
1.	სასტუმრო „ნოედან“	2.162	22	1.	ხარ. სასტ. „ნოე“-ში	444	04
2.	აბანოებიდან	161	02	2.	სხ. და სხ. ხარჯი ცენტრალ. სამხარ.	151	83
3	კინო-თეატრებიდან	122	34				
4.	ზესტაფონიდან გადმოგზ.	42	60	3.	დაქირავებულ კონტროლერებს და წვრილმანი ხარჯები	546	14
5.	საეკლესიებიდან % ანარ.	7.142	21			1.142	01
		9.630	39				

1·142 01

წმინდა შემოსავალი: 8.488 მ. 38 კ.

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი გულითად მადლობას უძღვნის სამდღიურის მოწყობის კომიტეტს და ყველა იმ პირს თუ დაწესებულებას, ვინც ხელი შეუწყო წ. ჯვრის მიზნის ხალხში გავრცელებას და ამ მიზნის განსახორციელებლად მატერიალური სალხრის გაძლიერებას.

განაწილება

წითელი ჯვრის ქენევის კომიტეტისაგან მიღებულ 200 კილო ქინაქინისა.

	მაზრები	რაოდენობა	ჯანმრთელობის ინსპექტ.	წითელ. ჯვრის პუნქტს.
1.	სიღნაღის მაზრა	15 კილო	10	5
2.	თელავის „	10	7	3
3.	ქუთაისის მაზრა	15	12	3
4.	სენაკის „	15		
5.	ზუგდიდის „	10		
6.	ოზურგეთის „	15		
7.	აფხაზეთის „	15		
8.	აჭარისტანი „	15		
9.	გორის მაზრა	6		
10.	დუშეთის „	5	3	2
11.	ბორჩალოს „	8		
12.	ტფილისის „	8	5 ყარაიზ	3
13.	რაჭის „	2		
14.	ახალციხის „	3		
15.	ახალქალაქის „	2		
16.	შორაპნის „	2		
17.	ლეჩხუმის „	2		
18.	ფოთის „	4		
19.	სამხრეთ-ოსეთის	5		
20.	ჯანსახ კომისარიატს	5		
21.	საერთო მარაგისთვის დატოვებულია.	38		

სრულიად საქართველოს ექიმთა სამეც. კონგრესი.

ა. წ. მაისის 18 ტფილისში გაიხსნა „სრულიად საქართველოს ექიმთა მეორე სამეცნიერო კონგრესი". გასტანა 5 დღეს. კონგრესზე უმთავრესი საკითხები იყო: ტუბერკულოზი და მალარია, რომლებსაც მრავალი ფრიად საყურადღებო მოხსენება ეძღვნა. ამას გარდა, წაკითხული იყო სხვა დარგებიდანაც მოხსენებები, რომელთა შორის დიდი ყურადღება დაიმსახურა „ანკილოსტომიაზის ენდემიურ გავრცელების შესახებ საქართველოში" ექიმ ნ. მახვილაძისა; დ „ფრინველის მიკროფილაროზი საქართველოში" მ. ფარცვანიძისა. ფარცვანიძემ აღმოაჩინა ფრინველში განსაკუთრებული სახე მიკროფილარიასი. მოხსენებებმა საერთოდ მრავალი საზოგადოება მიიზიდა და გაცხოველებული კამათიც გამოიწვია. გამოტანილ იქმნა დიდად საყურადღებო რეზოლიუციები, რომელთაც ყრილობის მოკლე საერთო ანგარიშთან ერთად შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

ჟენევის გადასინჯული კონვენცია.

(წინადადებანი მე IX-ტე კონფერენციის მიერ არჩეულ სარედაქციო კომისიისა, 21 აგვისტოს მიღებული კონფერენციის მიერ 1 სხდომაზე.

ჟენევის კონვენცია, 1906 წლის, 6 ივლისისა, ბრძოლის ველზე მყოფს არმიებში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის შესამსუბუქებლად.

თავი I.

დაჭრილნი და ავადმყოფნი.

§ 1. სამხედროთა და სხვა პირთ, არმიებთან ოფიციალურად დაკავშირებულთ, რომელნიც დაჭრილნი ან ავადმყოფნი იქნებიან, უნდა მოეპყრონ პატივითა და ზრუნვით, განურჩევლად ამათი ეროვნებისა, ის მეომარი მხარე, რომლის ხელშიც იგინი ჩავარდებიან.

ამასთანავე, მეომარი მხარე, რომელიც იძულებულია მოპირდაპირეს დაუთმოს თვისი დაჭრილნი და ავადმყოფნი, ამათთანვე დასტოვებს, რამდენადაც კი სამხედრო გარემოება საამისო საშუალებას მისცემს, თვისი პერსონალის და სანიტარული მასალის ნაწილს დაჭრილ-ავადმყოფთა მოვლის დასახმარებლად.

§ 2. მათთვის მზრუნველობის აღმოჩენის გათვალისწინების პირობით, წინა პარაგრაფში რომ არის ნაჩვენები, დაჭრილნი თუ ავადმყოფნი, ერთ-ერთ მეომარი მხარის ხელში ჩავარდნილნი, სამხედრო ტყვეებად ითვლებიან და კაცთა მოდგმის

უფლებათა ზოგადი კანონები, რომელიც ტყვებს ეხება, მათზედაც ვრცელდება.

თუმცა, მეომარ მხარეებს რჩება უფლება, თავიანთ დაჭრილ ან ავადმყოფ ტყვეთა შესახებ ურთიერთს შორის დაადგინონ გამონაკლისისა თუ შეღავათის ისეთი დებულებანი, როგორსაც სასარგებლოდ დაინახავენ; სახელდობრ, მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ:

რათა ბრძოლის შემდგომ ერთმანეთს გადასცენ საომარ ასპარეზზე დარჩენილი დაჭრილები;

დააბრუნონ თავიანთ სამშობლოში, გამომრთელებისა და მგზავრობის საშუალებათა ალმოჩენის შემდეგ, ის დაჭრილნი და ავადმყოფნი, რომელთა ტყვეებად დატოვება არა სურთ.

გადასცენ ერთ-ერთს ნეიტრალურ სახელმწიფოს, ამისი თანხმობით, მოპირდაპირის დაჭრილნი და ავადმყოფნი და დაავალონ რათა ნეიტრალურმა სახელმწიფომ ინტერნაცია უყოს მათ. (მოკვეთილია პარაგრაფის უკანასკნელი სიტყვები: „საომარი მოქმედების დასრულებამდე“.)

§ 3. თითოეული ბრძოლის შემდგომ, ბრძოლის ველზე მდგომარე მეომარი მხარე მიიღებს ღონისძიებას დაჭრილთა მოსაძებნად და მათთვის მფარველობის გასაწევად ცარცვისა და ცუდი მოპყრობის წინააღმდეგ.

ბრძოლის ველზე მდგომარე მხარე იზრუნებს, რათა დახოცილთა დასაფლავებასა ან დაწვას წინ უძღოდეს მკვდართა გულდასმითი შემოწმება.

ყოველთვის, როცა კი სამხედრო გარემოებანი საამისო საშუალებას მისცემენ, შეთანხმდებიან ბრძოლის შეჩერებაზე, რათა შესაძლო გახდეს ამ ღონისძიებათა შესრულება.

§ 4. მეომარი მხარენი, რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში, **შეატყობინებენ ერთმანეთს** სახელ-გვარს დაჭრილთა და ავადმყოფთა, რომელნიც ხელში ჩაეარდნიათ. ერთმანეთს აცნობებენ ხოლმე ინტერნაციას და გაცვლას, აგრეთვე ჰოსპიტლებში გადაცემას მათს ხელში მყოფ დაჭრილთა და ავადმყოფთა. შეატყობინებენ ხოლმე ერთი მეორეს, რაც შე-

იძლება სწრაფად, ტყვეთა გარდაცვალებას და ბრძოლის ველზე დახოცილ მოპირდაპირეთა აღმოჩენას და აგრეთვე გადასცემენ მათი ვინაობის დამადასტურებელ ნიშნებს, გარკვევით აცნობებენ აგრეთვე საფლავების ადგილს. საომარ მოქმედებათა დაწყებისთანავე მეომარი მხარეები მოაწყობენ საფლავების ოფიციალურ გამგებლობას, შეჰკრებენ პირადი საჭიროების ყოველგვარ ნივთს, განძეულობას, წიგნაკს, ვინაობის მედალიონებს და სხვა, რასაც კი ბრძოლის ველზე იპოვნიან, ან მომაკვდავნი დასტოვებენ, რათა სასწრაფოდ გადაუგზავნონ ჟირისუფლებს ამათი მთავრობის საშუალებით.

მეომარი მხარეები იზრუნებენ, რათა მკვდარნი პატივით იქნენ დამარხულნი და რათა სამხედროთა საფლავები და ძეგლები, საკუთარსა თუ მათ მიერ დაჭერილ ტერიტორიაზე მყოფნი, მოვლილნი იქნენ პატივით და ჰქონდესთ თავიანთი ნიშნები გარდაცვლილთა გამოსაცნობად.

საომარ მოქმედებათა დასრულებისთანავე, სასაფლაოთა სიები იქ დამარხულ ომის მსხვერპლთა აღნიშნვით გადაეცემა მთავრობებს, რომელთა ტერიტორიაზედაც სასაფლავოები არსებობს, ოფიციალურ მსახურებისა და ნეშტთა მოსალოდნელი ამოთხრისათვის.

დაინტერესებულ მთავრობას ეცნობება ყოველი ასეთი მომხდარი ამოთხრის შესახებ. ამავე დროს, ყველანაირი ნიშანი, რაც კი ძველისა თუ ახალი საფლავის ადგილ-მდებარეობას შეეხება, ვინაობა გარდაცვლილთა და, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ამ ვინაობის დამადასტურებელი ელემენტებიც, გადაეცემა მას.

§ 5. სამხედრო ხელისუფლებას შეუძლია მიმართოს მცხოვრებთა სათნოების გულმოდგინეობას, რათა თვისი კონტროლის ქვეშ, მიიღონ და მოუარონ არმიების დაჭრილთა და ავადმყოფთ; ამგვარ მოხალისე—მომვლელ—მცხოვრებთ მინიჭებული უნდა ჰქონდესთ სპეციალური მფარველობა და განსაზღვრული იმუნიტეტი.

თავი II.

სანიტარული ფორმაციებისა და დაწესებულებათათვის.

§ 6. მმოძრავ ფორმაციებს (ე. ი. ისეთებს, რომელნიც დანიშნულნი არიან მომქმედ არმიებთან სამუშაოდ) და ჯანმრთელობის მუდმივ დაწესებულებათ მეომარი მხარეები მოეპყრობიან პატივით და მფარველობით.

§ 7. მფარველობა სანიტარულ ფორმაციებისა და დაწესებულებათადმი წყდება უკეთუ მას (მფარველობას) მტრის საზიანოდ გამოიყენებენ.

§ 8. არ ითვლებიან კერძო ხასიათის ორგანიზაციებად ის ფორმაციები თუ დაწესებულებანი, მე 6 § ძალით რომ სარგებლობენ მფარველობას, იმ გარემოების გამო:

ა) რომ ფორმაციებისა და დაწესებულებათა პერსონალი ატარებს იარაღს და ხმარობს მას საკუთარი თავისა ანუ დაჭრილთა და ავადმყოფთა დასაცავად;

ბ) როცა, შეიარაღებულ პერსონალის უყოლობის გამო, ფორმაციას ან დაწესებულებას იცავს სათანადო მანდატით აღჭურვილი რაზმი ანუ გუშაგნი.

გ) როცა ფორმაციებში ან დაწესებულებებში მოიპოვება იარაღი და გატენილი ვაზნები, რომელნიც დაჭრილებს ჩამოერთვათ და ჯერ ვერ მოხერხებულა მათი სათანადო დაწესებულებისათვის გადაცემა.

თავი III.

პერსონალისთვის.

§ 9. პერსონალი, რომელიც მხოლოდ დაჭრილთა და ავადმყოფთა ასაკრებად, გადასაყვანად და მოსავლელად არის დანიშნული, აგრეთვე სანიტარული ფორმაციებისა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის მსახურნი, მღვდლები, რომელნიც

არმიებს ახლავან, ყოველგვარს გარემოებაში პატივცემულნი და დაცულნი იქნებიან.

(§-ები 9 დასასრული მოკვეთილია).

§ 10. წინა პარაგრაფში მოხსენებულ პერსონალთან გათანაბრებულია პერსონალი დახმარების აღმომჩენ მოხალისე საზოგადოებათა, ამათივე მთავრობის მიერ სათანადოდ ცნობილთა და ნებადართულთა, პერსონალი, რომელიც გამოყენებულ იქნება არმიების სანიტარულ ფორმაციებსა და დაწესებულებებში იმ პირობით, რომ ხსენებული პერსონალი დაექვემდებარება სამხედრო კანონებსა და რეგლამენტებს.

თითოეულმა სახელმწიფომ უნდა აცნობოს მეორეს მშვიდობიანობისავე დროს, ომის დაწყობისას ან ომის განმავლობაში ყოველს შემთხვევაში, სანამ მოქმედებას დაიწყებდეს, სახელი იმ საზოგადოებათა, რომელთაც მან ნება დართო, თვისის პასუხისმგებლობით, როგორც ჯარის ოფიციალურ დაწესებულების დამხმარე საზოგადოებათ.

§ 11. რომელიმე ნეიტრალურ სახელმწიფოს მიერ ცნობილ საზოგადოებას არ შეუძლია თავისი პერსონალითა და სანიტარულის ფორმაციებით დახმარება გაუწიოს ერთ-ერთს მეომარ მხარეს თუ საამისოდ წინდაწინვე თანხმობა არ აქვს თვისი საკუთარი მთავრობისა და ნებართვა თვით მეომარი მხარისა.

მეომარმა მხარემ, რომელმაც მიიღო ეს დახმარება, მის გამოყენებამდე უნდა აცნობოს ამის შესახებ თავის მტერს.

§ 12. რომელიმე ნეიტრალურ სახელმწიფოს მიერ სათანადოდ ცნობილ საზოგადოებას საჭიროების დროს, ნება აქვს დაუყონებლივ გაუწიოს დახმარება თავისი სანიტარული პერსონალითა და ფორმაციებით მეომარ მხარეთა დაჭრილებსა და ავადმყოფებს, რომელნიც ნეიტრალურ სახელმწიფოთა საზღვრების უახლოეს მიდამოებში აღმოჩნდებიან.

საზოგადოება, რომელმაც ეს დახმარება გაუწია, რაც შეიძლება ჩქარა აცნობებს მეომარ მხარეებს თავის ამგვარ მოქმედებას.

რა წამს ერთ-ერთი მეომარი მხარე ამისი წინააღმდეგი გახდება ან როცა დახმარება უკვე იმდენად საჭირო აღარ იქნება, იგი დაუყოვნებლად დაბრუნდება თავის ქვეყანაში პერსონალითა და სანიტარული ფორმაციებით.

როცა მდგომარეობა დაჭრილთა მოითხოვს მათს გადაყვანას რომელიმე ნეიტრალური ქვეყნის საზღვართა ახლო მდებარე სანიტარულს დაწესებულებაში, საზოგადოებას ნება ექნება გადაიყვანოს იგინი თუ კი ერთ-ერთი მეომარი მხარე მაინც ამის წინააღმდეგი არ იქნება.

§ 12. §§ 9, 10, და 11 აღნიშნული პირები, ტყვეობაში ჩავარდნის შემდგომაც განაგრძობენ დროებით თავისი მოვალეობის აღსრულებას მტრის ხელმძღვანელობით.

იგინი თავისუფალნი არიან ტყვეობისაგან და ვერ იქნებიან დაკავებულნი.

იგინი უნდა გაეგზავნონ იმ სამხედრო ხელისუფლებას, რომელზედაც დამოკიდებულნი არიან, მაშინვე, როგორც კი გზა გაიხსნება და როგორც კი სამხედრო გარემოებანი ამის საშუალებას მისცემენ.

მანამდე კი, სასურველია, რათა იგინი მიჩენილ იქნენ იმ დაჭრილთა და ავადმყოფთა მოსავლელად, რომელნიც ამათსავე ეროვნებას ეკუთვნიან.

წასვლისას თან მიაქვთ თავისი ნივთები, ინსტრუმენტები, იარაღი, ცხენები, რაც კი მათს კერძო საკუთრებას შეადგენს.

§ 13. §§ 9, 10, და 11 გათვალისწინებულ პერსონალს მტერი მიანიჭებს, სანამ იგი მის ხელში იმყოფება, ისეთსავე განაკვეთს, ჯამაგირს, ისეთსავე მოვლასა და ბინა-საწოლს, როგორიც თავისი ჯარის მზგავს პერსონალს აქვს.

თ ა ვ ი IV.

მასალისათვის.

§ 14. მოძრავი სანიტარული ფორმაციები, თუ მტრის ხელთ ჩავარდებიან, შეინახვენ თავიანთ მასალას, მათს რიცხვში შე-

საბმელსაც, როგორიც უნდა იყოს საშუალება ტრანსპორტისა და მისი წამყვან-წამომყვანი პერსონალი.

თუმცა, ამასთანავე სათანადო სამხედრო ხელისუფლებას ნება ექნება გამოიყენოს იგინი დაჭრილთა და ავადმყოფთა მოსავლელათ; მასალის ანაზღაურება მოხდება იმავე პირობებით და, რამდენადაც კი შესაძლებელია, იმავე დროს, როგორიც გათვისწინებულია სანიტარულ პერსონალისათვის.

§ 15. მუდმივ დაწესებულებათა შენობები და მასალა ექვემდებარება საომარ კანონებს, მაგრამ, რამდენადაც იგინი საჭირონი იქნებიან დაჭრილთა და ავადმყოფთათვის, სხვა დანიშნულებისათვის მათი გამოყენება არ შეიძლება.

თუმცა, ამასთანავე მომქმედი ჯარის უფროსებს შეუძლიათ მათი გამოყენება, რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო საჭიროების დროს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ იქ მყოფ დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრი წინასწარ უზრუნველყოფილი იქნება.

§ 16. მასალა იმ დამხმარე საზოგადოებათა, რომელიც მფარველობას სარგებლობს მის მიერ განსაზღვრულის პირობებით, კერძო საკუთრებად ითვლება და, როგორც ასეთი, პატივდებულია ყოველ გვარს გარემოებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეომარ მხარეებს, საომარი კანონებისა და ჩვეულებების მიხედვით, უფლება აქვთ რეკვიზიციისა.

კერძო საკუთრების მასალის ასეთი რეკვიზიცია ექვემდებარება საჭიროების მოთხოვნილებას, მის ადგილობრივად მოხმარებას და მისსავე ანაზღაურებას, რა წამსაც რეკვიზიციის საჭიროება გაივლის.

თავი V.

ევაკუაციის კონვოისთვის.

§ 17. საევაკუაციო კონვოის ეპყრობიან ისე, როგორც მოძრავ სანიტარულ ფორმაციებს, გარდა შემდეგი საგანგებო გამონაკლისებისა:

1º — კონვოის შემჩერებელს ერთ-ერთს მეომარ მხარეს შეუძლია დაშალოს იგი, მხოლოდ თვით იდოს თავს იმ დაჭრილთა და ავადმყოფთა მოვლა, რომელნიც კონვოის ებარა.

2º — ამ შემთხვევაში, § 12 გათვალისწინებული ვალდებულება, სანიტარული პერსონალის სამშობლოში დაბრუნების შესახებ, ვრცელდება ყველა იმ სამხედრო პერსონალზე, რომელიც ტრანსპორტზე ან კონვოის მცველებზეა მიჩენილი და რომელსაც აქვს საამისოდ სათანადო მანდატი.

14 § გათვალისწინებული ვალდებულება სანიტარული მასალის დაბრუნების შესახებ ვრცელდება რკინის გზის მატარებლებსა და შ ნაური ნაოსნობის გემებზე, რომელნიც საგანგებოდ ევაკუაციისთვის არიან მოწყობილნი, აგრეთვე ჩვეულებრივი სანიტარული სამსახურის ურმებისა, მატარებლებისა და გემების მოსაწყობ მასალაზედაც.

სხვა დანარჩენი სამხედრო ურმოულობა, გარდა სანიტარული სამსახურისთვის დანიშნულისა, — შეიძლება შეპყრობილ იქნეს მისი შესაბმელობიანად.

სამოქალაქო პერსონალი და, რეკვიზიციით მოპოვებული, სხვა და სხვა საშუალება ტრანსპორტისა, მათს რიცხვში რკინის გზების მასალა და კონვოისთვის სახმარი გემები, დაექვემდებარება ადამიანთა უფლების ზოგად კანონებს.

თ ა ვ ი VI.

ბაირაღები ნიშნისთვის.

§ 18 შვეიცარიის პატივსაცემლად, ჰერალდიური ნიშანი წითელი ჯვრისა თეთრს არეზე, რაც ფედერალურის ფერებისაგან არის შედგენილი, დადგინებულია, როგორც ემბლემა და გამრჩევი ნიშანი ჯარის სანიტარულ დაწესებულებათათვის.

§ 19. ეს ემბლემა, სათანადო სამხედრო ხელისუფლების ნებართვით, გამოსახულია ალამზე, მკლავ სახვევებზე და აგრეთვე ყოველ მასალაზე, რასაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს სანიტარულ დაწესებულებასთან.

§ 20. §§ 9, 10 და 11 მოხსენებული პერსონალი მარცხენა მკლავზე ატარებს მკლავსახვევს წითელის ჯვრით თეთრს არეზე, რაც სათანადო სამხედრო ხელისუფლებისგან არის ბოძებული და ბეჭედ დასმული; ამ პერსონალს აქვს აგრეთვე ვინაობის მოწმობა ფოტოგრაფიული სურათით.

სახელმწიფოები წინდაწინვე აცნობებენ ერთმანეთს, ვინ იქნება ის სათანადო სამხედრო ხელისუფლება, რომელიც, ომის ატეხის დროს, გასცემს და ბეჭედს დაჰკრავს ზემოხსენებულ მკლავსახვევებს.

ვინაობის მოწმობანი ერთნაირი და ერთისა და იმავე მოდელის უნდა იყოს თითოეული არმიისთვის. ეს პერსონალი არავითარს შემთხვევაში მოკლებული არ უნდა იყოს დასახელებული ნიშნებისა და ვინაობის მოწმობას.

მათი დაკარგვის შემდგომ, პერსონალს საშუალება უნდა მიეცეს მათი დუბლიკატების მიღებისა.

§ 21 კონვენციის გამრჩევი ალამი, სამხედრო ხელისუფლების თანხმობით, აღიმართება მხოლოდ სანიტარულს ფორმაციებსა და დაწესებულებებზე, რომელთა პატივდებასაც იგი უზრუნველჰყოფს. მასთან ერთად აღმართული უნდა იყოს ეროვნული დროშაც იმ მეომარი მხარისა, რომელსაც სანიტარული ფორმაციები და დაწესებულებანი ეკუთვნის.

თუმცა ამასთანავე, სანიტარული ფორმაციები, რომელიც მტერს ჩაუვარდება ხელში, ვერ აღმართავს სხვა დროშას გარდა წითელი ჯვრის დროშისა იმ ხნის განმავლობაში, სანამ ასეთს მდგომარეობაში იქნება.

მეომარი მხარეები მიიღებენ ყოველგვარ ღონისძიებას, რათა გამრჩევი ნიშნები სანიტარული ფორმაციებისა და დაწესებულებების თავზე გარკვევით დასანახავი იყოს მტრის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებისათვის.

§ 22. ნეიტრალურ სახელმწიფოთა სანიტარული ფორმაციები, რომელნიც, § 11 გათვალისწინებულს პირობებში, ნებადართული იქნება დახმარების გასაწევად, ვალდებულია, კონვენციის ალამთან ერთად, აღმართოს ეროვნული დროშაც იმ მეომარი მხარისა, ვისგანაც იმ ჟამად დამოკიდებული იქნება.

წინა პარაგრაფის მეორე აბზაცში მოხსენებული დებულებანი ამათზედაც ვრცელდება.

§ 23. ნიშანი წითელი ჯვრისა თეთრს არეზე და სიტყვები: წითელი ჯვარი ან [illegible]კის ჯვარი, როგორც მშვიდობიანობისა, ისე ომის დროს, იხმარება მხოლოდ სანიტარულ ფორმაციებისა და დაწესებულებათა, მათი პერსონალისა და მასალის დასაცავად და გამოსახატავად, რომელთაც კონვენცია უწევს მფარველობას.

მეორეს მხრით, მოხალისე დამხმარე საზოგადოებას, რომელიც მეათე პარაგრაფშია მოხსენებული, უფლება აქვს, თავის საქველმოქმედო მოღვაწეობის განმავლობაში მშვიდობიანობის დროს, იხმაროს წითელი ჯვრის ნიშნები.

თავი VII.

კონვენციის გამოყენებისა და აღსრულებისთვის.

§ 24. წანამდებარე კონვენციის დებულება სავალდებულოა მხოლოდ ხელის მომწერ სახელმწიფოთათვის, იმ შემთხვევაში, როცა ომი სწარმოებს ორს ან მრავალ სახელმწიფოს შორის.

ეს დებულება ჰკარგავს ძალას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ერთი მეომარი სახელმწიფო იძულებულია ებრძოლოს მეორე ისეთ სახელმწიფოს, რომელიც არ არის მონაწილე ამ კონვენციისა, და ჰკარგავს ძალას მხოლოდ და მხოლოდ ამ უკანასკნელ სახელმწიფოს მიმართ.

§ 25. მეომართა ჯარების მთავარსარდლები იზრუნებენ წინა პარაგრაფების დაწვრილებით აღსრულებისათვის, აგრეთვე კონვენციის მიერ გათვალისწინებულ შემთხვევებშიც, თანახმად

თავიანთ მთავრობათა ინსტრუქციებისა და წინამდებარე კონვენციის მთავარ პრინციპების მიხედვით.

§ 26. ხელის მომწერნი მთავრობანი მიიღებენ საჭირო ღონისძიებას, რათა თავიანთ ჯარებს, განსაკუთრებით კი კონვენციის მფარველობაში მყოფ პერსონალს, აუხსნან წინამდებარე კონვენციის დებულებანი და მცხოვრებთაც გააცნონ იგინი.

თ ა ვ ი VIII

ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲠᲝᲨᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲐᲦᲙᲕᲔᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

§ 27 ხელისმომწერნი მთავრობანი, რომელთა კანონმდებლობა ამჟამად უსრულია, აღთქვამენ, რომ ან წინადადება მისცენ თავიანთ კანონმდებლებს, რათა მიიღონ საჭირო ღონისძიება, რომ კერძო პირებმა თუ საზოგადოებებმა, გარდა იმათისა, რომელნიც წინამდებარე კონვენციის ძალით უფლებაალჭურვილნი არიან, არ იხმარონ ემბლემა ან სახელწოდება წითელი ჯვრის თუ ჟენევის ჯვრისა, აგრეთვე, ვაჭრობის რაიმე მიზნით, არც არავითარი ისეთი ნიშნისა და სახელწოდებისა, რასაც შეუძლია შერევა—გაუგებრობის გამოწვევა სახელდობრ, საფაბრიკო თუ სავაჭრო ეტიკეტები დ სხვა;

აკრძალვა ზემოხსენებულ ემბლემების თუ სახელწოდების ხმარებისა ძალაში შევა თითოეული კანონმდებლობის მიერ დადგენილებულ ვადის გასვლის შემდეგ, არა უგვიანეს ხუთი წლისა წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლ ს დროიდან. ამ ხნიდან მოკიდებული არავის ექნება უფლება იხმაროს საფაბრიკო ან სავაჭრო ეტიკეტები.

§ 28 ხელისმომწერნი მთავრობანი აღუთქვამენ აგრეთვე მიიღონ ან წინადადება მისცენ კანონმდებლებს, რათა, უკეთუ მათი სამხედრო სასამართლოს კანონმდებლობა უსრულია მიიღონ საჭირო ღონისძიება, რათა ომის დროს აღკვეთილ

იქნას ცარცვისა და დაჭრილთა და ავადმყოფთათვის ცუდი მოპყრობის შესაძლებლობა აგრეთვე რათა დასჯილ იქნას, მზგავსად სამხედრო ნიშნების უზურპაციისა, უმართებულოდ ხმარება წითელი ჯვრის ალაჰისა და კლავსახევისა იმ სამხედროთა თუ კერძო პირთა მიერ, რომელნიც არ სარგებლობენ წინამდებარე კონვენციის მფარველობას და, საზოგადოდ აღკვეთილ იქნას ყოველგვარი მოქმედება, რაც კი კონვენციიდებულებას ეწინააღმდეგება.

მთავრობანი ერთმანეთს შეატყობინებენ, შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შუამავლობით, იმ ღონისძიებას, რომელიც ასეთს აღკვეთას შეეხება არა უგვიანეს ხუთი წლის განმავლობისა დღიდან წინამდებარე კონვენციის რატიფიკაციისა.

§ 29 წინამდებარე კონვენციის რატიფიკაცია მოხდება რაც შეიძლება მალე.

რატიფიკაციები დაცული იქნება ქ. ბერნში.

თითოეულ დაცულ რატიფიკაციის შესახებ შედგენილ იქნება ოქმი, რომლის დამოწმებული პირიც, დიპლომატიურის გზით, გადაეცემა ყველა ხელისმომწერ სახელმწიფოს.

§ 30. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის თითოეული სახელმწიფოსთვის ექვსი თვის შემდეგ, დღიდან მისი რატიფიკაციისა.

§ 31 წინამდებარე კონვენცია, სათანადოდ რატიფიკაცია ქმნილი, შესცვლის 1864 წლის 22 აგვისტოს და 1906 წლის 6 ივლისის კონვეციებს ხელისმომწერ სახელმწიფოთა ურთიერთობაში

ამ ორ უკანასკნელ კონვენციას ძალა აქვს იმ სახელმწიფოთა ურთიერთობისათვის, რომელნიც მათი (კონვენციების) მონაწილენი არიან, მაგრამ რომელნიც არ მოისურვებენ აგრეთვე წინამდებარე კონვენციის რატიფიკაციას.

§ 32. წინამდებარე კონვენცია შეიძლება ხელმოწერილ იქნეს ..... კონფერენციაზე წარმოდგენილ სახელმწიფოთა მიერ ქ. ჟენევაში რომ გაიხსნა ..... აგრეთვე იმ სახელმწიფოთა მიერ

რომელნიც წარმოდგენილი იყვნენ ამ კონფერენციაზე დ რომელნიც მონაწილენი არიან 1864 წ. და 1906 წ. კონვენციისა.

ამ სახელმწიფოთაგან იმათ, რომელთაც ხელი არ მოუწერიათ წინამდებარე კონვენციაზე რჩებათ უფლება შემდეგ მიიღონ იგი. მათ წერილობითი ნოტიფიკაციით უნდა აცნობონ თავიანთი თანხმობა შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს ხოლო ეს უკანასკნელი გადასცემს მას ყველა ხელისმომწერ სახელმწიფოს.

დანარჩენ სხვა სახელმწიფოებს შეუძლიათ იმავე ფორმით აღძრან შუამდგომლობა მათ მიერ კონვენციის გაზიარების შესახებ, მხოლოდ მათ შუამდგომლობას მაშინ მიეცემა მსვლელობა თუ დღიდან შვეიცარიის ფედერალურ საბჭოსადმი მათ მიერ ნოტიფიკაციის გადაცემისა, ერთი წლის განმავლობაში წინააღმდეგი არავინ აღმოჩნდება კონვენციის ხელისმომწერ სახელმწიფოთა შორის.

§ 33. თითოეულს ხელისმომწერ სახელმწიფოს უფლება ექნება უარჰყოს წინამდებარე კონვენცია. ამ უარყოფას მნიშვნელობა ექნება ერთი წლის შემდეგ, დღიდან შვეიცარიის ფედერალურ საბჭოსადმი წერილობითი ნოტიფიკაციისა.

ეს უარყოფა შეუძლია მხოლოდ იმ სახელმწიფოს, რომელსაც წინამდებარე კონვენცია გაუზიარებია ნოტიფიკაციის სახით.

პროექტი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

წ ე ს დ ე ბ ა

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება იხელმძღვანელებს ჟენევის 1863 წ. კონფერენციის მიერ შემუშავებულ პრინციპებს და აგრეთვე ჟენევის 1906 წ. კონვენციისა და ჰააგის 1907 წ. საზღვაო საომარ წესებს და ყველა იმ დებულებას, რაც სახელმძღვანელოდ დამატებით მიღებულია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ.

2. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება იხელმძღვანელებს იმ ჰუმანიურ პრინციპებს, რაზედაც დამყარებულია საერთაშორისო სოლიდარობა ომიანობის დროს და აგრეთვე სოციალურ ავადმყოფობათა და სტიქიონურ უბედურობათა დროს და რაც აერთებს სხვა ერების წითელი ჯვრის საზოგადოებათ ერთს ინტერნაციონალურ კომიტეტად.

3. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას აქვს უშუალო კავშირი და ურთიერთობა როგორც წითელი ჯვრის ყველა ეროვნულ საზოგადოებასთან აგრეთვე ინტერნაციონალურ კომიტეტთან.

4. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ცნობილია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ, როგორც დამოუკიდებლად მომქმედი ორგანიზაცია საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში და როგორც იმავე ხელისუფლების დამხმარე დაწესებულება.

5. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება განახორციელებს წესდებიდან გამომდინარე მოღვაწეობას და თავის საქმიანობას

ხელისუფლებისათვის დახმარების სფეროში წარმართავს მსგავსად მისი ანალოგიური დაწესებულებებისა, როგორიც არის სამხედრო-საზღვაო და სამოქალაქო სამკურნალო-სასანიტარო ორგანო.

თავი მეოთხე

საზოგადოების მიზანი და მოვალეობა

6. საზოგადოების მიზანია ა) გაუწიოს ომიანობის დროს საექიმო, სასანიტარო, სასურსათო და სხვა დახმარება სამშობლო ქვეყნისა და უცხო სახელმწიფოს დაჭრილ და ავადმყოფ სამხედრო პირთ, ბ) იზრუნოს საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში, საქართველოს მოკავშირე თუ მოწინააღმდეგე ჯარის სამხედრო ტყვეებისათვის; გ) მფარველობა გაუწიოს იმ მოქალაქეთ, რომელნიც ინტერნობაში იმყოფებიან და აგრეთვე იმ ოლქებსა და კუთხეებს, რომელიც ოკუპაციას ქმნილ არიან.

7. სამოქალაქო ომის (პოლიტიკური თუ ეკონომიური) დროს საზოგადოება დახმარებას გაუწევს ამ ომის მსხვერპლს: დაჭრილთ, დატუსაღებულთ, შრომის უნარდაკარგულთ და სხვა და აგრეთვე მათ ოჯახებსაც.

8. მშვიდობიანობის დროს საზოგადოება: ა) ემზადება ომიანობის დროისათვის; ბ) გაუწევს საერთო მზრუნველობას ომში დაჭრილ-დაშავებულთ გ) დაეხმარება სტიქიონურ უბედურობისგან (წყალდიდობა, მიწის-ძვრა, და სხვ. დაზარალებულთ) ე) აწარმოებს ბრძოლასსოციალური ხასიათის (მალარია, ჭლექი და სხვ.) და გადამდები (ხოლერა, შავი ჭირი და სხვ.) სენის წინააღმდეგ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საზოგადოება ასეთსავე დახმარებას გაუწევს მოკავშირე და გარეშე სახელმწიფოს მოსახლეობასაც მასსიური უბედურობის დროს.

თავი მეხუთე

საზოგადოების უფლებანი:

9. საზოგადოებას აქვს იურიდიული პირის უფლებანი და კანონისამებრ (საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის ფარგალში) შეუძლიან შეიძინოს ყოველგვარი ქონება, გაასხვისოს იგი, დასდოს ხელშეკრულება, იკისროს ვალდებულება, ისარჩლოს და პა-

სუხი აგოს სასამართლოში, მიიღოს შეწირული ქონება, აიღოს სესხი და დააგირავოს ქონება.

10. წესდების დებულებიდან გამომდინარე საქმიანობის დროს წითელი ჯვრის საზოგადოება და ყველა მისი დაწესებულება, აგრეთვე ქონება და შემოსავალი თავისუფალია სახელმწიფო, საღერბო, სარეწავი, ადგილობრივი და ერთდროული ყოველგვარი გადასახადისაგან, ხოლო წითელი ჯვრის საზოგადოების კორესპონდენცია (დეპეშა, ბარათი, ამანათი და სხვ.) იგზავნება უფასოდ.

11. საზოგადოების ტვირთის გადაზიდვისათვის რკინის გზით, გემით და შარაგზით, აგრეთვე სამსახურის გამო თანამშრომელთა მიმოსვლისათვის წითელი ჯვრის საზოგადოებას აქვს სახელმწიფო დაწესებულების უფლება.

12. წითელი ჯვრის საზოგადოების ნიშანი არის წითელი ჯვარი თეთრ არეზე იმ სახისა, რაც დაწესებულია ჟენევის კონვენციით 1864 წლის აგვისტოს 22-ს; ამ ნიშნის ხმარების უფლება საქართველოში აქვს მხოლოდ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას. საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს წითელი ჯვრის საზოგადოების მიზნის განსახორციელებლად. შეუძლიან წითელი ჯვრის ნიშნის ხმარების უფლება მისცეს ავრეთვე ამა საზოგადოების გარეშე მდგომ დაწესებულებასაც.

ცენტრალური კომიტეტის ნებადაურთველად წითელი ჯვრის ნიშნის ხმარება რაიმე მიზნით აკრძალულია.

იგივე ნიშანი აქვს საზოგადოების: ა) ბეჭედსა და შტამპს, ბ) ალამს-წითელი ჯვრის საზოგადოების საწყობებისა, ტრანსპორტებისა და ლაზარეთების აღსანიშნავად და გ) მკლავსახვევს, რასაც თანამდებობის პირნი, სამსახურის დროს, წითელი ჯვრის საზოგადოების მოსამსახურენი და ის პირნი, რომელნიც საზოგადოებას ეკუთვნიან მარცხენა მკლავზე ატარებენ.

შენიშვნა: წითელი ჯვრის ნიშნის ხმარებისთვის ის პირი, ვისაც ამისი უფლება არ აქვს, დაისჯება კანონისამებრ.

თავი მეოთხე

საზოგადოების შედგენილობა.

13. წითელი ჯვრის საზოგადოებას შეადგენენ საპატიო და ნამდვილი წევრნი, რომელნიც სასამართლოს წესით სახელ შებღალულ არ არიან, რომელთაც სამოქალაქო მოწიფულობისათვის მიუღწევიათ

და აქვთ მუშათა და გლეხთა საბჭოებში საარჩევნო უფლება: წევრთ აირჩევს საერთო ყრილობა ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოების განურჩეველად, ხმის მარტივი უმეტესობით.

14. საზოგადოების ნამდვილ წევრად ჩაითვლება ის პირი და პროლეტარული ორგანიზაცია (პროფესიონალური კავშირი, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტი, გლეხთა კომიტეტი, კოოპერატივი, ტრესტი, დამზღვევი სალარო, სახალხო კომისარიატი და სხვ.) რომელიც ყოველწლიურად გადაიხდის საწევრო ფულს პირველი 50 ჩერვ. კაპიკს, და მეორე კი არა ნაკლებ 50 ჩერვ. მან.

შენიშვნა: საწევრო ფულს დააწესებს და მის რაოდენობას განსაზღვრავს წარმომადგენელთა ყრილობა ან განყოფილებათა წევრების საერთო კრება.

15. საპატიო წევრად წარმომადგენელთა ყრილობა, ცენტრალური კომიტეტის წარდგენით, ხოლო საერთო კრება, ადგილობრივ განყოფილებათა კომიტეტების წინადადებით, დაამტკიცებს ისეთ პირს, ვისაც საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის.

შენიშვნა: საზოგადოების წევრობა შეუძლიან აგრეთვე ორგანიზაციას და გაერთიანებულ ამხანაგობასაც იმ საერთო წესით, რაც საზოგადოების წესდებით დადგენილია წევრის მისაღებად, ამ ორგანიზაციასა და ამხანაგობას შეუძლიან გამოიყენოს თავისი უფლება არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, რომელსაც ექნება ერთი ხმის უფლება.

16. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიზნის განსახორციელებლად საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში დაარსდება განყოფილება ადგილობრივი საზოგადოების წევრთაგან.

თავი მეხუთე.

საზოგადოების მართვა-გამგეობა.

17. საზოგადოების მართვა-გამგეობა ეკუთვნის: 1) ადგილობრივ განყოფილებათა საერთო კრების მიერ არჩეულ წარმომადგენელთა ყრილობას, 2) ცენტრალურ კომიტეტს, 3) განყოფილებათა წევრების საერთო კრებას, და 4) საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა კომიტეტებს.

1. წარმომადგენელთა საზოგადო ყრილობა.

18. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადო ყრილობა მოხდე-

ბა ყოველწლიურად და შესდგება საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებათა საპატიო და ნამდვილ წევრთა საერთო კრების მიერ არჩეულ წარმომადგენელთაგან. რომელთაც ადგილობრივ განყოფილების წევრთა საერთო კრება აირჩევს ყოველ ას კაცზე ერთს.

შენიშვნა: ადგილობრივი განყოფილება, რომელსაც ნაკლები წევრი ჰყავს, აირჩეს 1 წარმომადგენელს, ხოლო ადგილობრივ განყოფილებას, რომელსაც ასზე მეტი წევრი ჰყავს შეუძლიან აირჩიოს მეორე წარმომადგენელი იმ შემთხვევაში, უკეთუ წევრთა ზედმეტი რიცხვი 70-ზე ნაკლები არ იქნება.

19. წარმომადგენელთა ყრილობა არის ჩვეულებრივი და საგანგებო; ჩვეულებრივი ყრილობა მოხდება ტფილისში, მთავრობის რეზიდენციის ადგილს, წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს აპრილის 1-სა.

20. წარმომადგენელთა საგანგებო ყრილობა მოწვეულ იქნება, უკეთუ განსაკუთრებული მიზეზის გამო, ამას საჭიროდ სცნობს ცენტრალური კომიტეტი ან ადგილობრივ კომიტეტთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ ერთი მესამედისა ან უკეთუ ამას დაადგენს წლიური ჩვეულებრივი ყრილობა.

21. წარმომადგენელთა ყრილობა კანონიერად ჩაითვლება, როდესაც მონაწილეობას მიიღებს ყველა განყოფილების წარმომადგენელთა რიცხვის ნახევარი მაინც.

შენიშვნა: ა) ხელმეორედ დანიშნული ყრილობა კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს; ამ ყრილობას შეუძლიან განიხილოს მხოლოდ ის საკითხები, რაც აღნიშნული იყო იმ ყრილობის წესრიგში, რომელიც არ შესდგა.

ბ) წარმომადგენელთა ყრილობის დღე, დრო და ადგილი უნდა გამოცხადდეს მთავრობის ორგანოში ორი კვირით ადრე ყრილობის მოწვევამდე.

22. წარმომადგენელთა ყრილობის მუშაობის საგანია:

ა) აირჩიოს ცენტრალური კომიტეტი, მისი თავმჯდომარე და მოადგილე (იგივე ხსნის პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მოადგილე).

ბ) განიხილოს ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საზოგადოების ყოველმხრივი საქმიანობის შესახებ;

გ) განიხილოს და დაამტკიცოს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა;

დ) განიხილოს შემოსავალ-გასავალი და გამოარკვიოს იმ თანხების მდეომარეობა, რაც ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაშია;

ე) განიხილოს და დაამტკიცოს მოქმედების საერთო გეგმა და აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის სამოქმედო რეგლამენტი;

ვ) აირჩიოს სარევიზიო კომისია და საპატიო წევრები;

ზ) განიხილოს და დაამტკიცოს სარევიზიო კომისიის მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მოქმედების შესახებ;

თ) განიხილოს ის საკითხები, რაც აღძრული იქნება ადგილობრივ განყოფილებათა მიერ;

ი) დაამტკიცოს გადაწყვეტილება შენობის და აღნაგობის უფლების ყიდვა-გაყიდვისა;

კ) გამოსძებნოს ის წყაროები, რაც აღნიშნულია ამავე მუხლის „8" პუნქტში და რაც საჭიროა ხარჯების დასაფარავად;

ლ) განიხილოს და დაამტკიცოს საზოგადოების წესდება და მისი ცვლილება-დამატებანი;

მ) გაუწიოს როგორც მუდმივი, ისე ერთდროული დახმარება საზოგადოების დაწესებულებათ, როდესაც ასეთი დახმარება აღმატება ცენტრალური კომიტეტის ხარჯთაღრიცხვას.

შენიშვნა: ყრილობაზე ყოველი საკითხის გადაწყვეტა მოხდება ხმის მარტივის უმეტესობით.

2. ცენტრალური კომიტეტი.

23. საზოგადოების მართვა-გამგეობის სათავეში დგას წარმომადგენელთა ყრილობის მიერ ერთის წლის ვადით არჩეული აღმასრულებელი ორგანო-ცენტრალური კომიტეტი, რომლის შედგენილობას დაამტკიცებს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და რომელიც იმყოფება ქალაქ ტფილისში—მთავრობის რეზიდენციის ადგილს.

24. ცენტრალური კომიტეტი თავის ყველა ორგანიზაციურთ საქმიანობის სფეროში გათანასწორებულია უფლებით სახელმწიფო დაწესებულებებთან და აქვს საკუთარი საქმეთა მმართველობა და სათანადო ბეჭედი.

25. ცენტრალური კომიტეტის სხდომები არის ჩვეულებრივი და საგანგებო: ჩვეულებრივი სხდომა მოხდება ქალაქ ტფილისში, სამ თვეში ერთხელ, თვის ბოლოს; ხოლო საგანგებო სხდომა მოწვეულ იქნება, როდესაც, განსაკუთრებული მიზეზის გამო, ამას საჭიროდ სცნობს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ან მოითხოვს ცენტრალური კომიტეტის ნახევარი პლენუმი მაინც.

შენიშვნა: ცენტრალური კომიტეტის წევრთა დაუსწრე-

ბლობის გამო ხელმეორედ დანიშნული სხდომა კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს; ამ სხდომას შეუძლიან განიხილოს მხოლოდ ის საკითხები, რაც აღნიშნული იყო იმ სხდომის წესრიგში, რომელიც არ შესდგა.

26. ცენტრალური კომიტეტი შესდგება 15 წევრისა და 6 კანდიდატისაგან. ცენტრალური კომიტეტი მომდინარე საქმეთა გასაძღოლად აირჩევს პრეზიდიუმს 7 წევრისაგან, რომელიც თვისი წრიდან გამოჰყოფს მცირე პრეზიდიუმს: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი; მცირე პრეზიდიუმის სახელმძღვანელო რეგლამენტს განსაზღვრავს ცენტრალური კომიტეტი.

შენიშვნა: ა) ცენტრალური კომიტეტის წევრთა რიცხვის შეცვლის უფლება აქვს წარმომადგენელთა ყრილობას.

ბ) სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრება არა ნაკლებ წევრთა ნახევარი რიცხვისა; სხდომა ყოველ საკითხს გადასწყვეტს ხმის მარტივის უმეტესობით.

გ) ცენტრალური კომიტეტის მოწვევის დრო წევრებს უნდა ეცნობოთ ორი კვირით ადრე.

27. როდესაც ცენტრალური კომიტეტის სხდომის წესრიგში აღნიშნულია ისეთი საკითხი, რომელიც შეეხება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს,—მშვიდობიანობის დროის საქმიანობაში,—სამხედრო-სასანიტარო უწყებას,—ომიანობის დროის სფეროში,—სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს—დაშავებულთა (ინვალიდთა) დახმარების საქმეში,—გლეხთა კომიტეტს და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს,—სოციალურ სნეულებისა და სტიქიონურ უბედურების შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში,—და ქალაქის საბჭოს—ქალაქის მცხოვრებთა გაჯანსაღების საქმეში,—დასახელებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი მიიღებენ მონაწილეობას სხდომაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით.

28. ცენტრალურ კომიტეტს უფლება აქვს:

ა) დასდვას ყოველნაირი ხელშეკრულება საზოგადოების საქმეთათვის;

ბ) აღძრას საჩივარი, დაიცვას ყველგან საზოგადოების ინტერესი და საამისოდ მოიწვიოს რწმუნებულები;

გ) მიმართოს საზოგადოების საქმეთა გამო მთავრობას და ყველა დაწესებულებას, აგრეთვე საერთაშორისოსაც;

დ) დაამტკიცოს წითელი ჯვრის ყველა დაწესებულების ინსტრუქცია;

29. ცენტრალური კომიტეტის მუშაობის საგანია:

ა) გააერთიანოს საზოგადოების მოქმედება ამა წესდებაში აღნიშნული მიზნისა და დანიშნულებისამებრ; თვალ-ყური ადევნოს, რათა საზოგადოების ყოველმა ორგანომ და დაწესებულებამ ხარჯოს მისთვის გადადებული თანხა მხოლოდ იმ საგანზე, რაც წითელი ჯვრის საზოგადოების მოქმედების ფარგალში შედის;

ბ) შეჰკრიბოს ყოველგვარი ცნობა საზოგადოების განყოფილებათა პირადი სანიტარული შედგენილობისა, თანხებისა და მათი სხვა სახსარის შესახებ რაც კი შეეხება განყოფილებათა ყოველნაირ მოქმედებას ომიანობის დროს;

გ) განაგოს წითელი ჯვრის ყველა თანხა; შეადგინოს, განყოფილებათა წლიური ანგარიშების განხილვისა და მიღების შემდეგ, საერთო წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა, თანხების შემოსავალ-გასავლისა და ქონების მდგომარეობის შესახებ;

დ) წარუდგინოს განსახილველად ანგარიში სარევიზიო კომისიას;

ე) წარუდგინოს მოხსენება რესპუბლიკის მთავრობას საზოგადოების მოღვაწეობისა, საქმიანობისა, პერსპექტივებისა და სხვა შესახებ და აგრეთვე მიიღოს მისგან სახელმძღვანელო დირექტივები.

3. ადგილობრივი განყოფილებანი.

(წევრთა საერთო კრება)

30. ადგილობრივი განყოფილება შესდგება საზოგადოების ამავე განყოფილების ჩვეულებრივისა და საპატიო წევრთაგან, რომელნიც ყოველწლიურად იკრიბებიან საერთო კრებაზე.

31. საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების დასაარსებელად საჭიროა არა ნაკლებ ორმოცდაათი მოქალაქის განცხადება და ცენტრალური კომიტეტის დასტური.

32. ადგილობრივ განყოფილებათა კრება არის ჩვეულებრივი, რომელსაც იწვევს ყოველწლიურად ადგილობრივი კომიტეტი არა უგვიანეს მარტის 1-სა და საგანგებო, რომელიც მოწვეულ იქნება, როდესაც, განსაკუთრებული მიზეზის გამო, იმას საჭიროდ სცნობს ცენტრალური და ადგილობრივი კომიტეტები ან ადგილობრივ წევრთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ ერთი მესამედისა.

შენიშვნა: საერთო კრების მოწვევის დრო და საგანი წინასწარ (ერთი კვირით ადრე) უნდა ეცნობოს ცენტრალურ კომიტეტს და ადგილობრივ წევრებს.

33. ადგილობრივ განყოფილების კრება კანონიერად ჩაითვლე-

ბა, როდესაც მას დაესწრება წევრთა ნახევარი რიცხვი მაინც; წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორებითი კრება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კანონიერად ჩაითვლება; ხელმეორედ მოწვეულ კრებას შეუძლიან განიხილოს მხოლოდ ის საკითხები, რაც აღნიშნული იყო იმ კრების დღიურ წესრიგში, რომელიც არ შესდგა.

34. ადგილობრივ განყოფილებათა კრების საგანია: ა) აირჩიოს ადგილობრივი კომიტეტის შედგენილობა, მისი თავმჯდომარე, სარევიზიო კომისია და საპატიო წევრები:

ბ) განიხილოს განყოფილების კომიტეტის საქმიანობისა და ხარჯების ანგარიში:

გ) განიხილოს და დაამტკიცოს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა:

დ) განიხილოს ყოველგვარი წინადადება შენობისა და აღნაგობის უფლების ყიდვა-გაყიდვისა:

ე) დაამტკიცოს განყოფილების მომავალი წლის საქმიანობის გეგმა:

ვ) განიხილოს ცენტრალური კომიტეტის მიერ აღძრული საკითხები:

ზ) განიხილოს წინადადება წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

თ) განიხილოს ინსტრუქციები ცენტრალური კომიტეტისა, ადგილობრივი კომიტეტისა და საზოგადოების ყველა დაწესებულებისა.

შენიშვნა: კრებაზე ყველა საკითხის გადაწყვეტა მოხდება ხმის მარტივის უმეტესობით.

35. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოებანი, მოქმედებენ, როგორც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების განყოფილებანი და იხელმძღვანელებენ ამა წესდებას. მათ უფლება აქვთ ამ წესდების განსავითარებლად და განსამარტებლად, რათა იგი შეთანხმებულ იქნეს აღნიშნულ რესპუბლიკებისა და ოლქის ადგილობრივ პირობებთან, გამოსცენ ხოლმე დადგენილებანი, ადგილობრივი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დასტურით, რაც უნდა ეცნობოს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს.

4. ადგილობრივ განყოფილებათა კომიტეტები.

36. ადგილობრივი განყოფილების მართვა-გამგეობის საათვეში

დგას ადგილობრივი განყოფილების წევრთა საერთო კრების მიერ ერთის წლის ვადით არჩეული კომიტეტი, რომელიც მოქმედებს ამა წესდების თანახმად და რომელსაც აქვს საკუთარი ბეჭედი ცენტრალური კომიტეტის მიერ დადგენილი სახისა.

37. ადგილობრივი კომიტეტი შესდგება არა უმეტეს ხუთის წევრისა და სამი კანდიდატისაგან, რომელნიც თავისი წრიდან აირჩევენ თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივანს; ამათ დაამტკიცებს ცენტრალური კომიტეტი; ადგილობრივი კომიტეტის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრება არა ნაკლებ სამი წევრისა: სხდომაზე ყველა საკითხი გადასწყდება ხმის მარტივის უმეტესობით.

შენიშვნა: აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკებისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და აგრეთვე სხვა განყოფილებათათვის შეიძლება შეცვლილ იქნეს ამა მუხლში აღნიშნული შედგენილობის რიცხვი ადგილობრივი პირობების მიხედვით.

38. განყოფილების კომიტეტი ყოველი ახალი საქმისათვის, როგორიც არის სათნოების დების კრებულისა, სამკურნალო-საექიმო პუნქტისა, აფთიაქებისა და სხვა დაწესებულების დაარსება, გამოითხოვს ცენტრალური კომიტეტის ნებართვას და აღნუსხავს სახსარს, რითაც მას შეუძლიან შეინახოს ასეთი დაწესებულება.

39. უკეთუ რომელიმე განყოფილების საქმიანობა შესწყდება, რისთვისაც საჭიროა ცენტრალური კომიტეტის დასტური, განყოფილების ლიკვიდაცია მოხდება განყოფილების წევრთა საერთო კრებისა, ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი ხელისუფლების დადგენილების თანახმად.

40. ადგილობრივი კომიტეტის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ უნდა იქნეს გარდა კომიტეტის წევრებისა, წარმომადგენელნი: სამხედრო-სასანიტარო განყოფილებათა, სოციალური უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა ან სხვა რომელიმე უწყებისა, როცა კომიტ. სხდომაზე აღძრული საკითხი მათ შეეხება. ამ საკითხის გადაჭრის დროს მათ ეძლევათ გადამწყვეტი ხმის უფლება.

41. კომიტეტს უფლება აქვს: ა) დასდვას ყოველგვარი ხელშეკრულება საზოგადოების საქმეთათვის; ბ) აღძრას საჩივარი და დაიცვას ყოველგან საზოგადოების ინტერესი და საამისოდ მოიწვიოს რწმუნებულები და გ) მიმართოს საზოგადოების საქმეთა გამო მთავ-

რობასა და ყველა დაწესებულებას, ხოლო თავის დაწესებულებას მიაწოდოს სამოქმედო ინსტრუქციები.

42. ადგილობრივი კომიტეტის საქმიანობის საგანია:

ა) გააერთიანოს, როგორც განყოფილების მმართველმა ორგანომ, მისი მოქმედება ამა წესდებაში აღნიშნული მიზნისა და დანიშნულებისამებრ; თვალ-ყური ადევნოს, რათა განყოფილებისთითოეულმა ორგანომ და დაწესებულებამ ხარჯოს მისთვის გადადებული თანხა მხოლოდ იმ საგანზე, რაც წითელი ჯვრის საზოგადოების მოქმედების ფარგალში შედის.

ბ) შეკრიფოს მასალა განყოფილების თანხებისა, პირადი შედგენილობისა და სხვათა შესახებ, აგრეთვე ისეთი მასალა, რაც შეეხება ყოველგვარ მის მოქმედებას ომიანობის დროს, როდესაც კომიტეტის ეს მოქმედება, დაკავშირებულია ცენტრალური კომიტეტის დირექტივებთან და სახსარიც ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაშია.

გ) მიაწოდოს ცენტრალურ კომიტეტს ყველა ცნობა, რაც ამა წესდებით მისთვის საჭირო იქნება.

დ) განაგოს განყოფილების ყველა თანხა და პერიოდულად რეგულიარულად წარუდგინოს ხოლმე ცენტრალურ კომიტეტს ხარჯების ანგარიში შემოსავალ-გასავლისა და ქონების მდგომარეობის შესახებ.

შენიშვნა: ხსენებული საქმიანობის განხორციელება იქ, სადაც კომიტეტი არ არსებობს, შეუძლიან ცენტრალური კომიტეტის მიერ დანიშნულ რწმუნებულს, რომელსაც ეძლევა სათანადო სამოქმედო ინსტრუქცია.

თავი მეოთხე.

საზოგადოების სახსარი

43. საზოგადოების სახსარს შეადგენს:

ა) წევრთა ყოველწლიური გადასახადი.

ბ) ერთდროული შემოწირულება ფულით, ნივთებით და ყოველგვარი ქონებით.

(ყოველ შემოწირულებას მმართველი ორგანო დაუყონებლივ გამოაცხადებს პრესაში, ხოლო დიდ შემოწირულებას, გარდა ამისა, აცნობებს ცენტრალურ კომიტეტს).

გ) ნებადართული წესით შეკრეფილი ყოველგვარი თანხა:

დ) საოზგადოების ქონება;

ე) მთავრობის დახმარება;

ვ) თანხების სარგებელი და საწევრო ფული;

ზ) საზოგადოების შემოსავალი სხვა დაწესებულებათა დაბეგვრით.

შენიშვნა: შემოსულ თანხებს ცენტრალური კომიტეტი და განყოფილებათა კომიტეტები ინახავენ სახელმწიფო ბანკში ან სხვა სანდო დაწესებულებაში.

44. ის თანხები, რაც ცენტრალურ კომიტეტსა და განყოფილებათა კომიტეტებში მოგროვდება, დანიშნულების მიხედვით, ოთხ კატეგორიად გაიყოფა:

1. სახარჯო თანხა საზოგადოების მიმდინარე ხარჯის დასაფარავად.

2. სათადარიგო თანხა, რაც სპეციალურად გადადებულია ომიანობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3. დახმარების ფონდი, ხალხის მასსიური რაიმე უბედურებისა ან მისი შედეგების წინააღმდეგ საბრძოლველად და სხვადასხვა დახმარების გასაწევად.

4. სპეციალური თანხა, რაც შემოწირულია ან შეგროვილია განსაკუთრებული დანიშნულებისათვის.

45. სახარჯო თანხას შეადგენს შემოსავალი საზოგადოების ყოველგვარი დაწესებულებისა, აგრეთვე სარგებელი სათადარიგო თანხისა.

შენიშვნა: ამ თანხაში არ შედის მხოლოდ სპეციალური შემოწირულება და სპეციალური თანხის სარგებელი.

46. ომიანობის დროის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ სათადარიგო თანხას და დახმარების ფონდს შეადგენს 30% მოელი შემოსავლისა, თითოეულში თანასწორი გადარიცხვით.

შენიშვნა: 1. სათადარიგო თანხა დაიხარჯება მხოლოდ ომიანობის დროის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მშვიდობიანობის დროს კი, ამ თანხიდან ხარჯის გაწევა შეიძლება მხოლოდ ისეთ საგანზე, რაც ხელს უწყობს საზოგადოების სამზადისს ომიანობის დროისათვის. უკეთუ განყოფილების კომიტეტს დასჭირდება აღნიშნულ საგანზე სათადარიგო თანხიდან ხარჯის გაწევა, მან განსაკუთრებული ნებართვა უნდა მიიღოს ცენტრალური კომიტეტისაგან.

2. ყოველ წლის ბოლოს განყოფილების კომიტეტი სათანადო

ფორმით წარუდგენს ცენტრალურ კომიტეტს მომავალი წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას.

3. განყოფილების კომიტეტი ყოველწლიურად გადასცემს ცენტრალურ კომიტეტს თავისი შემოსავლის 15%, გარდა სპეციალური თანხისა, სახარჯო თანხის გასაძლიერებლად.

47. ყოველ წლიურად, არა უგვიანეს მარტის 15-სა, ადგილობრივი განყოფილება წარუდგენს ცენტრალურ კომიტეტს წარსული წლის ანგარიშს თავისი მოქმედებისა, თანხების შემოსავალ-გასავლისა და ქონების მდგომარეობის შესახებ, განყოფილების საერთო კრების მიერ დამტკიცების შემდეგ.

48. უკეთუ ორი თვის განმავლობაში, დაწესებული ვადის შემდეგ, განყოფილება წესდებაში აღნიშნული ფორმით არ წარადგენს ანგარიშს, იგი გაუქმებულად ჩაითვლება და გამოირიცხება წითელი ჯვრის საზოგადოების დაწესებულებათაგან, რასაც ცენტრალური კომიტეტი თავის ანგარიშში საყოველთაოდ გამოაცხადებს.

თავი მეშვიდე.

სარევიზიო კომისია.

49. როგორც მთელი საზოგადოებისა, ისე მთავარ სამმართველოს ანგარიშების შესამოწმებლად, ჩვეულებრივი საზოგადო კრილობა ყოველწლიურად აირჩევს სარევიზიო კომისიას; კომისია შესდგება არა ნაკლებ 3 წევრისა და ორი კანდიდატისაგან, რომელთაც წითელი ჯვრის საზოგადოებაში არავითარი თანამდებობა არ უჭირავთ. კომისია თავისი წრიდან აირჩევს თავმჯდომარეს და შეიკრიბება ხოლმე საჭიროების მიხედვით.


50. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს რევიზია უყოს საზოგადოების ყველა საქმეს; გარდა ამისა, მისი მოვალეობაა:

ა) დროგამოშვებით მოახდინოს რევიზია არსებული თანხებისა და ქონებისა და შეამოწმოს იგი დავთრებისა და საბუთების მიხედვით და

ბ) შეადგინოს მოხსენება და დასკვნა, როგორც წარსული წლის ანგარიშისა, ისე ხარჯთაღრიცხვისა და მომავალ წლის მოქმედების გეგმის შესახებ.

შენიშვნა: ამავე საფუძვლით და მიზნით საზოგადოების განყოფილების წევრთა საერთო კრება აირჩევს ადგილობრივ სარევიზიო კომისიას.

საქართველოს წითელი ჯვრის საგზაო ტალონების ორგანიზაციათა სქემა.



ცენტრალური ამგულსატორია ტფილისში

ვენერიული განყოფილებით და კბილის საექიმო კაბინეტით.

შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა მიღება სწარმოებს ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 9—12 ს. ცენტრალური კომიტეტის შენობაში, თაიროვის შესახვევი, № 5.

აქვე მიიღებიან **სპეციალურად მალარიით, ჰიებით** და სხვა **ტროპიკულ სნეულებიანი** ავადმყოფნი ორშაბათობით და პარასკეობით. ასეთს ავადმყოფებს ესინჯებათ სისხლი და უკეთდებათ სხვა საჭირო ანალიზები. ციებიანთ უფასოდ ეძლევათ წამალი.

კირხის ქუჩაზე, გრეენდზიცის ყოფილს აფთიაქში, გაიხსნა

საქართვ. წ.ით. ჯვრის აფთიაქი,

საიდანაც ღარიბებს შეღავათიანს პირობებში ეძლევათ წამლეულობა.

საზოგადოება

„ჩემო“

ვინაიდან „ჩემო“-ს წევრთა მორიგ საზოგადო კრებას, რომელიც მოწვეული იყო განმეორებით 15 ივნისისათვის, არ დაესწრო დადგენილებების კანონიერებისათვის საჭირო რიცხვი ხმებისა, ამიტომ

„ჩემო“-ს წევრთა საზოგადო კრება მოწვეულია მესამედ

29 ივნისისათვის, 12 საათზე.

(ტროცკის ქ. № 20)

შენიშვნა: განმეორებით მოწვეული საზოგადოების დადგენილებანი სავალდებულო იქნება „ჩემო“-ს ყველა მონაწილეთათვის, მიუხედავათ იმისა თუ რამდენი ხმა იქნება კრებაზე.

„ჩემო“-ს საბჭოს თავმჯდომარე: მ. მასხულია.

ბ 721
1924

ფასი 50 კ.